

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ქართველური დიალექტოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი

KUTAISI AKAKI TSERETELI DEVLET UNIVERSITESI  
KAERTVELILOJI BILIMSEL ARASTIRMA ENSTITUSI

ტარიელ ფუტკარაძე

TARIEL PUTKARADZE

იმერკევის  
მეტყველი მიწა-წყალი

İMERHEVİ'NİN KONUŞAN TOPRAĞI

I

I

სათავე,  
აგარა, ბზათა,  
შოლტისკევი, ივეთი, იმფკრევი,  
ქოქლიეთი, მანატბა, ჯოკლევი, მანხატეთი...

Satave,  
Agara, Bzata,  
Şoltishevi, İveti, İmphrevli,  
Koklieti, Manatba, Hohlevi, Maçhateti.....  
(Artvin İli)

ქუთაისი  
2007

KUTAISI  
2007

Kartvelian Dialectology Research Institute, ATSU

**Tariel Putkaradze**

## Imerkhevi Speaking Land

I

**Satave,  
Agara, Bzata,  
Sholtiskhevi, IveTi, Impkhrevli,  
KoklieTi, Manatba, Khokhlevi, Machkhateti...  
(Artvini Gubernia)**

**Kutaisi  
2007**

ამ წიგნში თქვენ წაიკითხავთ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორთა და სტუდენტთა 2007 წლის ზაფხულში თურქეთის რესპუბლიკაში ჩატარებული ექსპედიციის (დაფინანსდა უნივერსიტეტის რექტორატის მიერ) მოკლე ანგარიშს, რომელშიც წარმოდგენილია ართვინის გუბერნიის შავშეთის რაიონის მეიდანჩიკის ბელედიეს რამდენიმე სოფლის მიკროტოპონიმია; წიგნში, ასევე, ასახულია საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკის კეთილმეზობლობა...

წარმოდგენილ ნაშრომში გამოქვეყნებული და ექსპედიციის სხვა დოკუმენტური მასალა ინახება აწსუ ქართველური დიალექტოლოგიის ინსტიტუტში.

Bu kitapta Kutaisi Akaki Tsereteli Devlet Üniversitesinin Akademik personel ve Öğretim-Öğretim üyelerince 2007 yazın Türkiye Cumhuriyetinde yaptıkları bilimsel araştırmanın kısa bir çalışma raporuna tanıyacaksınız. Kitapta Şavşat İlçesinin Meydancık Belediyesine ait birkaç köyün eski coğrafi terimleri incelenmiştir. Ayrıca Gürcüstan ile Türkiye arasındaki iyi komşuluk ilişkileri de yer almaktadır....

Kitapta yer almış belgeler Kartveloloji enstitüsünde bulundurmaktadır.

ISBN 978-99940-52-63-9

“ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტი“

© ტ.ფუტყარაძე

“KUTAIŞI DEVLET ÜNİVERSİTESİ” Yayınları

© T.Putkaradze

**სარჩევი**  
**İÇİNDEKİLER**

ქართული ასო-ნიშნების სატრანსლიტერაციო სქემა.....	6
Gürcüce harflerin transliteration diagramı.....	6
ისტორიული ექსკურსი და ძმური პერსპექტივა .....	8
Tarihsel gezi ve kardeşçe bir gelecek.....	9
იმერვევის ადგილმდებარეობა და ჩვენი ექსპედიციის მიზანი	20
İmerhevi'nin coğrafi konumu ve araştırmamızın amacı.....	21
ექსპედიციის საქმიანი დღეები.....	26
Araştırma grubumuzun faaliyet günleri.....	27
03.08.06. გზადაგზა.....	26
03.08.06. Yol boyunca .....	27
04.08.06. განწირული ჭოროხი და ამაყი არტანუჯი.....	30
04.08.06. Yıkılmaya mahkum Çoruh ve mağrur Ardanuç .....	31
05.08.06. სათავე ანუ ფესტივალად ქცეული მარიამობა. ხანძთა	38
05.08.06. Satave Festivaline dönüşmüş Meryem Ana günü. Handzta.....	39
06.08.06. აგარა (ერიკლი). ნაჟდომი. თამარაძე - ერთიანი	52
ისტორიული მენსიერება.....	53
06.08.06. Agara (Erikli), Najdomi. Tamara – Yekpare Tarihin Belleği...	53
07.08.06. ბზათა და შოლტისვევი (ქარაილითი); სონერი.	60
იმფვრეგლის ციხე და ქართველთა დუგუნი.....	61
07.08.06. Bzata (Akbiyik) ve Şoltishevi (Karayığit); Soner Bey	61
İphrevli kalesi ve Kartveller'in düğünü.....	80
08.08.06. ივეთი (მისირლი). ულამაზესი ხედები ზიოსიდან	80
(თეფებაში) და უბიდან (ობა) .....	81
08.08.06. İveti (Mısırlı). Ziosi (Tepebaşı) ve Ube'den (Oba) görülen	81
muhteşem manzaralar .....	92
09.08.06. იმფვრეგლი (თაშქობრუ). ქოქლიეთი (მეჭმეთჯიკი).	92
იმნიეთი. რესულ ჯაფარიძე.....	93
09.08.06. İphrevli (Taşköprü). Koklieti (Mehmetcik). İmniyeti.	128
Resul Caparidze .....	129
10.08.06. მანატბა (იეშილჯე), ვოჯლევი (ჩალოპინარი), მანხატეთი .....	136
10.08.06. Manatba (Yeşilce). Hohlevi (Çağlıpınar), Maçhateti.....	137
დასკვნის ნაცვლად .....	140
Sonuç yerine .....	141
დამოწმებული ლიტერატურა.....	141
Kaynaklar .....	

**ქართული ასო-ნიშნების საერთაშორისო (ლათინური),  
ინგლისური, გერმანული, თურქული და რუსული  
შესატყვისები (სატრანსლიტერაციო სქემა)**

The international (Latin), English, German, Turkish and Russian  
correspondences of the Georgian letters and graphemes  
(transliteration diagram)

Ortak Kartvelgil yazı diline veya Gürcü lehçelerine ait kelime  
köklerinin analizi sırasında, Gürcüce sesleri (fonemleri) Latin alfabesine  
dayanarak yazabilmek için aşağıdaki şema kullanılmaktadır.  
Gürcüce, İngilizce, Almanca, Türkçe, Rusça ve Uluslararası harfler.

<b>ქართული ანბანი</b>			საერთა- შორისო	ინგლი- სური ანბანი	გერმან- ული ანბანი	თურქ- ული ანბანი	რუს- ული ანბანი
ძველრ. ანბანი	ასომთ. ანბანი	ნუსხ. ანბანი					
ა	Ⴀ	Ⴁ	a	a	a	a	a
ბ			ā		ā	ā	
გ			ä		ä	ä	
დ	Ⴂ	Ⴃ	b	b	b	b	б
ე	Ⴃ	Ⴃ	g	g	g	g	г
ვ	Ⴃ	Ⴃ	d	d	d	d	д
ე	Ⴃ	Ⴃ	e	e	e	e	e
ე			ē		ē	ē	
ვ/წ	Ⴃ	Ⴃ	v(w)	v(w)	w	v	в
ზ	Ⴃ	Ⴃ	z	z	z	z	з
თ	Ⴃ	Ⴃ	t	t	t	t	
ი	Ⴃ	Ⴃ	i	i	i	i	и
კ	Ⴃ	Ⴃ	ķ	k	k	k	к
ლ	Ⴃ	Ⴃ	l	l	l	l	л
მ	Ⴃ	Ⴃ	m	m	m	m	м
ნ	Ⴃ	Ⴃ	n	n	n	n	н
ო	Ⴃ	Ⴃ	y	y		y	
ო	Ⴃ	Ⴃ	o	o	o	o	o

ქართული ანბანი			საერთა- შორისო	ინგლი- სური ანბანი	გერმან- ული ანბანი	თურქ- ული ანბანი	რუს- ული ანბანი
მხედრ. ანბანი	ასომთ. ანბანი	ნუსხ. ანბანი					
ა			ö		ö	ö	
ბ	Ⴀ	Ⴁ	p□	p	p	p	п
ჟ	Ⴃ	Ⴃ	ž	dz	dsj	j	ж
რ	Ⴄ	Ⴅ	r	r	r	r	р
ს	Ⴆ	Ⴇ	s	s	s	s	с
ტ	Ⴈ	Ⴉ	ţ	t	t	t	т
უ	Ⴊ(Ⴋ)	Ⴋ	u	u	u	u	у
ჲ			ū		ū	ū	
ჳ			ü		ü	ü	
ფ	Ⴌ	Ⴍ	p	p	f(v)	p	ф
ქ	Ⴎ	Ⴏ	k	k	q	k	
კ°			k°			k°	
ღ	Ⴐ	Ⴑ	ğ	gh		ğ	
ზ°			ğ°			ğ°	
ყ	Ⴒ	Ⴓ	q	q		q	
ყ			ყ			ყ	
შ	Ⴔ	Ⴕ	š	sh	sch	š	ш
ჩ	Ⴖ	Ⴗ	č	ch	tsch	č	ч
ც	Ⴘ	Ⴙ	c	ts	c	ts	ц
ძ	Ⴚ	Ⴛ	j	dz		dz	
წ	Ⴜ	Ⴝ	č	ts		tz	
ჭ	Ⴞ	Ⴟ	č	ch	ch	tj	
ხ	Ⴟ	Ⴐ	h	kh	ch	kh	x
ც	Ⴒ	Ⴓ	h			h	
ჯ	Ⴔ	Ⴕ	j	j	dsh	c	
ჰ	Ⴖ	Ⴗ	h	h	h	h	
ზ			ü				

## ისტორიული ექსკურსი და ძმური პერსპექტივა

ისტორიული საქართველოს სახელმწიფოს ერთ-ერთი წამყვანი კულტურული ცენტრი **იმერკვევი** კლარჯეთ-შავშეთის შემადგენელი ნაწილია; ავტოქთონი ეთნიკური ქართველებით მჭიდროდ დასახლებული ისტორიული ზემო ქართლი დღეს თურქეთის რესპუბლიკის შემადგენლობაშია.

ძვ.წ. II ათასწლეულის შუა პერიოდიდან **ჭოროხის ხეობა**, ზოგადად, **ზემო ქართლი** ქართველური სახელმწიფოს ცენტრია (ციხე-ქალაქები - თორთუმი/შაშილუ/სასირე და არტანუჯი; ადრეული ისტორიის შესახებ უფრო ვრცლად იხ., ტ.ფუტკარაძე, 2005).

ძვ.წ. IV-III საუკუნეებიდან - აზონის, ქუჯისა და ფარნავაზის დროს - ქართველური სახელმწიფოებრივი ცენტრი მცხეთის რეგიონში ინაცვლებს (ჩანს, აქტუალური გახდა კავკასიონის გადმოსასვლელების დაცვა), თუმცა არტანუჯის მნიშვნელობა არ დაკნინებულა.

არტანუჯს დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა ვახტანგ გორგასლის სახელმწიფოსათვის (ახ.წ. V საუკუნე); არტანუჯიდან და მის გარშემო არსებული სამონასტრო ცენტრებიდან დაიწყო ქართლის (სრულიად საქართველოს) - დავითისა და თამარის საქართველოს აღორძინება არაბობის (VII-VIII სს.) შემდეგ...

XVI-XVII საუკუნეებში სამხრეთი საქართველო - ისტორიული მესხეთი (რომელშიც შედიოდა სამცხე, ჯავახეთი, აჭარა, კლარჯეთი, ერუშეთი, ჭანეთი, ლაზეთი, სპერი, კოლა, ორივე ტაო...) სპარსელებისა და თურქების ბრძოლის ასპარეზი იყო; შავშეთ-იმერკვევს დიდად ავნო ჯაყელების სეპარატიზმმაც.

ანატოლიისა და კონსტანტინეპოლის დაპყრობის შემდეგ ოსმალებმა სულთან სულეიმან დიდის დროს (1552-1566 წ.) დაიკავეს არზრუმი, ვანი და ყარსი... ათაბაგ ქაიხოსრო მეორის დროს (1545-1573 წ.), 1550 წელს დაიპყრეს მთელი ჭოროხის აუზი; ამ დროიდან ტაო-კლარჯეთი (იმერკვევითურთ) სამცხე-საათაბაგოსთან ერთად შედიოდა ერზერუმის საფაშოში.

## ისტორიული ექსკურსი და ძმური პერსპექტივა

ისტორიული საქართველოს სახელმწიფოს ერთ-ერთი წამყვანი კულტურული ცენტრი **იმერვევი** კლარჯეთ-შავშეთის შემადგენელი ნაწილია; ავტოქთონი ეთნიკური ქართველებით მჭიდროდ დასახლებული ისტორიული ზემო ქართლი დღეს თურქეთის რესპუბლიკის შემადგენლობაშია.

ძვ.წ. II ათასწლეულის შუა პერიოდიდან **ჭოროხის ხეობა**, ზოგადად, **ზემო ქართლი** ქართველური სახელმწიფოს ცენტრია (ციხე-ქალაქები - თორთუმი/შაშილუ/სასირე და არტანუჯი; ადრეული ისტორიის შესახებ უფრო ვრცლად იხ., ტ.ფუტყარაძე, 2005).

ძვ.წ. IV-III საუკუნეებიდან - აზონის, ქუჯისა და ფარნავაზის დროს - ქართველური სახელმწიფოებრივი ცენტრი მცხეთის რეგიონში ინაცვლებს (ჩანს, აქტუალური გახდა კავკასიონის გადმოსასვლელების დაცვა), თუმცა არტანუჯის მნიშვნელობა არ დაკნინებულა.

არტანუჯს დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა ვახტანგ გორგასლის სახელმწიფოსათვის (ახ.წ. V საუკუნე); არტანუჯიდან და მის გარშემო არსებული სამონასტრო ცენტრებიდან დაიწყო ქართლის (სრულიად საქართველოს) - დავითისა და თამარის საქართველოს აღორძინება არაბობის (VII-VIII სს.) შემდეგ...

XVI-XVII საუკუნეებში სამხრეთი საქართველო - ისტორიული მესხეთი (რომელშიც შედიოდა სამცხე, ჯავახეთი, აჭარა, კლარჯეთი, ერუშეთი, ჭანეთი, ლაზეთი, სპერი, კოლა, ორივე ტაო...) სპარსელებისა და თურქების ბრძოლის ასპარეზი იყო; შავშეთ-იმერვევს დიდად ავნო ჯაყელების სეპარატიზმმაც.

ანატოლიისა და კონსტანტინეპოლის დაპყრობის შემდეგ ოსმალებმა სულთან სულეიმან დიდის დროს (1552-1566 წ.) დაიკავეს არზრუმი, ვანი და ყარსი... ათაბაგ ქაიხოსრო მეორის დროს (1545-1573 წ.), 1550 წელს დაიპყრეს მთელი ჭოროხის აუზი; ამ დროიდან ტაო-კლარჯეთი (იმერვევითურთ) სამცხე-საათაბაგოსთან ერთად შედიოდა ერზრუმის საფაშოში.

## Tarihi gezi ve kardeşçe bir gelecek

Tarihsel Gürcistan ülkesinin önde gelen kültürel merkezinden biri olan İmerhevi ,Klarcet-Şavşatın parçasıdır. Avtokton (yerli) Gürcülerle yoğun yerleşim yeri olan tarihsel Yukarı Kartli, bugün Türkiye Cumhuriyeti'nin içindedir.

M.Ö. II. binyılın ortalarından Çoruh Vadisi, genel olarak Yukarı Kartli, Gürcü ülkesinin merkezidir. (kaleşehirler – Tortum /Şaşılı /Sasire ve Ardanuç; erkendönem tarihi hakkında daha kapsamlı olarak bakınız, T.Putkaradze, 2005).

M.Ö. IV-III yüzyıllardan – Azon, Kuci ve Parnavaz dönemi – Gürcü ülkesinin merkezi Mtskheta bölgesine geçiyor (Görülüyor ki, Kavkasioni geçit yerlerinin korunması güncellik kazanmıştır), Gerçi Ardanuç'un önemi azalmamıştır. Ardanuç

özellikle Vahtang Gorgasali'nin büyük Gürcü ülkesi için stratejik değerdedi (M.S. V yy); Ardanuçtan ve çevresindeki manastır merkezlerinden Kartli'nin (tümüyle Gürcistan'ın) - "David'in ve Tamar'ın Gürcistanı" 'nın Arap döneminden sonra yükselişi başladı. ( VII-VIII.yy)...

XVI-XVII yüzyıllarda Güney Gürcistan – Tarihsel Meskheta, kapsamındaki Samtskhe, Javakheti, Achara, Klarjeti, Erusheti, Chaneti, Lazeti, Speri, Kola, her iki Tao.... İranlılar'ın ve Türkler'in çatışma alanını oluşturuyordu; Şavşat – İmerkhev'e Jaqeliler'in ayrılıkçılığı büyük zarar verdi.

Anadolu'nun ve İstanbul (Konstantinopol)un fethinden sonra Osmanlılar, Büyük Sultan Süleyman zamanında (1552-1566y.) Erzurum'u , Van'ı ve Kars'ı ele geçirdiler. Atabey II Keyhüsrev zamanında (1545-1573y.), 1550 yılında bütün Çoruh havzasını ele geçirdiler. Bu zamandan sonra Tao-Klarjeti (İmerheviyle), Samtskhe Atabeyliğiyle beraber, Erzurum Paşalığı'na dahildi.

დასუსტებული საქართველო ვერ ახერხებს მესხეთის დაბრუნებას, მეტიც: **მას ანგარიშს არც ერთი იმპერია აღარ უწევს** და ცდილობს მიისაკუთროს ეს სტრატეგიული ტერიტორია. ირანი ამოად დაშვრა: **სოფელ ზოპაბში** 1639 წლის 18 მაისს ირანსა და ოსმალეთს შორის დადებული ზავით, მესხეთი ოსმალეთს დარჩა; ამის შემდეგ დამპყრობლები უფრო წარმატებით ავიწროებენ, დევნიან, კლავენ ერთიანი საქართველოსთვის მებრძოლ თავდა-აზნაურებსა და გლეხებს... ქართველთაგან დაცარიელებულ სოფლებში ოსმალეები ასახლებენ მომთაბარე თათებს, თარაქამებს; ქართველობა კომპაქტურად მხოლოდ მაღალმთიან ადგილებში - ძნელად დასაპყრობ და რთულად საცხოვრის ხეობებში - შემორჩა. ადგილზე დარჩენილი ქართველობა თანდათან, ეკონომიკური შეღავათების მოპოვების მიზნით, მაჰმადიანობას იღებს, მაგრამ ინარჩუნებს ზოგადქართველური კულტურის განმსაზღვრელ მთავარ ფენომენს - ენას (საოჯახო ენის სტატუსით - ადგილობრივ ქართველურ კილოებს: ლაზურს, შავშურს, ტაოურს, მაჭახლურს, ლივანურს).

1877-1878 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომის შემდეგ, ბერლინის ტრაქტატით, ისევ საქართველოს იგნორირებით, იმპერიული გარიგებით, უკვე რუსეთს დარჩა ყარსისა და ბათუმის ოლქები (არტანის, ერუშეთის, შავშეთის რაიონებითურთ); ამ ტრაქტატს ერთი დადებითი შედეგიც ჰქონდა: საუკუნეების განმავლობაში იძულებით დაცალკეებული ქართული მიწა-წყალი ფაქტობრივად გაერთიანდა.

რუსეთის **მართლმადიდებლურმა** იმპერიამ უფრო მძლავრად შეუტია ქართველობას: მან გააუქმა **საქართველოს** მართლმადიდებლური **ეკლესიის ავტოკეფალია**, ხოლო შემოერთებულ ე.წ. “სამუსლიმანო საქართველოში” ძალაში დატოვა “შარიათი”; მეტიც, “რუსები ღვთისმსახურებს იწვევდნენ ანატოლიიდან, რამაც მხოლოდ გამაჰმადიანების პროცესი კი არა, ამ მხარის გათურქების პროცესიც გააღრმავა” (შ.ლომსაძე).

Güçsüz kalmış Gürcistan Meskheti’yi geri alamıyor, dahası: İmparatorluklar gözardı edip durumu, bu stratejik alanı kendine katmak istiyor. İran nafile uğraştı: 18 Mayıs 1639 yılında Zohab Köyü’nde İran ve Osmanlılar arasında yapılan anlaşmayla Meskheti Osmanlılara kaldı; Sonrasında fetih güçleri daha başarıyla baskı, kovuşturmayla Gürcistan’ın bütünlüğü için mücadele veren derebeylerini ve köylüleri yok ediyorlar... Gürcülerden boşalan köylere Osmanlılar , göçebe Türkleri, Tatlar’ı, Terekemeleri yerleştiriyor; Toplu olarak Gürcüler sadece yüksekdağlık yerlerde – zor ele geçen ve zorlu vadilerde – kaldılar. Yerinde kalan Gürcüler zamanla, ekonomik muafiyet-imtiyazlar alabilmek için Müslümanlığa geçiyor , ama genel Gürcü kültürünü belirleyen ana fenomeni –dilini (Aile dili statüsüyle-Yerli Gürcü lehçelerini: Laz, Şavş, Tao, Machakhel, Livan ) koruyorlar.

1877-1878 yılları Rusya-Osmanlı savaşı sonunda, Berlin Antlaşması’yla, yine Gürcistan görmezden gelinilerek, imparatorluk mutabakatıyla Kars ve Batum Bölgeleri Rusya’ya kaldı.(Ardahan, Erusset ve Şavşat Bölgeleri). Böyle olmakla beraber yüzyıllar boyu zorla ayrılmış Gürcü toprağı reel olarak birleşmiş oldu.

Rusya imparatorluğu daha güçlü şekilde Gürcülüğün üstüne geldi. Ortodoks Kilisesinin bağımsızlığını lağvetti ve Gürcistan’a birleşen yerlerde “şariat”ı geçerli tuttu, dahası “Ruslar, Anadolu’dan din adamlarını davet ediyor. Bu ise sadece müslümanlaştırma sürecini değil Türkleştirme sürecini de derinleştirdi. (S.Lomsadze).

რუსების მცდელობის მიუხედავად, ახალციხე-ახალქალაქში მაინც დარჩნენ მუსლიმი ქართველები; მაგ., 1832 წელს, ცნობილი მოგზაურობის შემდეგ, დი ბუა დი მონპერე ასკვნის: “ახალციხის საფაშოში **თურქებად მიჩნეული მოსახლეობის დიდი ნაწილი ქართველია**, რომელთაც მიღებული აქვთ ომარის სექტის მაჰმადიანობა; მათ შენარჩუნებული აქვთ ქართული ენა, ქართული გვარები და ქართველთათვის დამახასიათებელი ზნე-ჩვეულებანი... **წლობით გარემოების ზეგავლენის მიუხედავად, ადგილობრივი მოსახლეობა რჩება მარადის ქართველ ტომად**“...

რუსეთის იმპერია ხელს უშლიდა ოსმალებისგან გამაჰმადიანებული ქართველობის მობრუნებას დედარელიგიისკენ - ქრისტიანობისკენ; მაგ., 1888 წელს **არქიმანდრიტი ამბროსი ხელაია** არწმუნებს ეგზარქოს პალადიეს:

“ბათუმისა და ართვინის ოლქებში ჯერ კიდევ არის შემორჩენილი ქრისტიანული წეს-ჩვეულებები, იოლია ქართველების მობრუნება მართლმადიდებლობაზე“...

რიტორიკულ კითხვას პასუხი არ სჭირდება, მაგრამ მ.თამარაშვილის 100 წლის წინანდელი წუხილის გვერდით გავიხსენებთ ა. ყიფშიძის იმავდროინდელ დასკვნასაც:

**მიხეილ თამარაშვილი:** “თურქთა უღლიდან განთავისუფლების შემდეგ **რა ხელშემწყობი მიზეზებით** იკიდებს ფეხს თურქული ენა სამცხე-ჯავახეთის ქართველ მაჰმადიანებში?“ ან: “ახალ დროებში რატომ ბნელდება ერთ დროს თავმოწონებული **მესხი, სწავლითა ქებული**?..“

**ალექსანდრე ყიფშიძე:** “საოცარი ამბავია, მაგრამ შეურყეველი და ჭეშმარიტი ისაა, რომ ქართული ენა უფრო დაიხარა რუსების მოსვლის შემდეგ სამცხე-საათაბაგოში... მიზეზი ისაა, რომ ქართულმა ენამ ხალხში ფუნქცია დაკარგა რუსობის მართვა-გამგეობის დროს, აღარაა იგი ხმარებაში სკოლაში, სასამართლოსა და პოლიცია-ადმინისტრაციაში“ (ა.ფრონელი, 1991, გვ. 135).

Ruslar’ın çabasına rağmen, Akhaltsikhe – Akhalkalaki ‘de müslüman Gürcüler kaldı. Örn., 1832 yılında bilinen seyahatı sonunda Di Bua di Monpere sonuç çıkarıyor: “Akhaltsikhe Paşalığı’nda Türk olarak kabul edilen nüfusun büyük bir kısmı Gürcü’dür. Bunlar Ömer (Hz.Ömer) müslümanlığını benimsemiş olup, Gürcü dilini, Gürcü soyadını, töre-geleneklerini kaybetmemişlerdir. Yılların dış etkenlerine rağmen, yerli halk Gürcü boyu olarak kalmaktadır’...

Rus imparatorluğu, Osmanlılar’ın müslümanlaştırdığı Gürcüler’in dinlerine yeniden dönmesine engel oluyordu; Örn., 1888 yılında Arkimandrit (büyük manastır rahibi) Ambros Khelaia Egzarkos Paladies’e anlatıyor:

“Batum ve Artvin bölgelerinde henüz hıristiyan töre-gelenekleri vardır. Gürcüler’in ortodoksluğa döndürülmesi kolaydır”...

Retorik soru yanıt gerektirmiyor, ama M.Tamarashvili’nin 100yıl önceki yürek ağrısının yanında A.Kipşidze’nin o zamanki yorumunu hatırlayalım:

Mikheil Tamarashvili: “Türk boyunduruğundan sonra hangi nedenlerle Türk dili Samtskhe-Javakheti’de müslüman Gürcüler arasında kök buluyor?” ya da “ yeni dönemde mağrur-aydın Meskhi nasıl cahilleşiyor?...”

Aleksandre Qipşidze: “Şaşılacak durumdur, ama sarsılmaz gerçek o dur ki, Ruslar’ın gelmesinden sonra Gürcü dili Samtskhe Atabeyliğinde okullarda, mahkemede ve polis-idari yapıda Gürcü dili kullanılmayıp halk içinde fonksiyonunu kaybetti...” (A.Froneli, 1661 Sayfa 135).

1920 წლის რუსეთ-თურქეთის მოსკოვის გარიგების შესაბამისად, 1921 წლის 13 ოქტომბერს ყარსში საქართველოს ლეგიტიმური ხელისუფლების (ნ.ჟორდანიას მთავრობის) იგნორირებით, საბჭოთა რუსეთმა საქართველოს სახელით თურქეთთან ხელი მოაწერინა თავის მარიონეტ უკანონო რეჟიმს - სერგო ორჯონიკიძის ბოლშევიკურ ხუნტას (ე.წ. საბჭოთა საქართველოს ფაქტობრივ ხელისუფლებას); ამ ხელშეკრულების “ძალით”, თურქეთმა მიიღო ბერლინის ტრაქტატით “დაკარგული” ტერიტორიები, მათ შორის, ართვინის ვილაიეთი, სადაც შედის ისტორიული ქართული მიწა-წყლის მნიშვნელოვანი ნაწილი: ტაო, კლარჯეთი, ლივანი (ნიგალი), ზედა მაჭახელი, ოლთისი, შავშეთი, იმერჯევი (1993 წელს გაურკვეველ სიტუაციაში ამ ხელშეკრულებას ვადა გაუგრძელდა)...

დღეს საქართველო საბოლოოდ თავისუფლდება რუსეთის იმპერიისგან; ევროპულ ღირებულებებსა და სახელმწიფოთა ევროპულ კავშირზე ორიენტირება ახალ და ორმხრივად საინტერესო პერსპექტიულ ველს ქმნის თანამედროვე თურქეთსა და საქართველოს შორის: **დამოუკიდებელი საქართველო ერთადერთი გზაა თურქეთისთვის თურქულენოვან სამყაროსთან (აზერბაიჯანი, შუა აზია) დასაკავშირებლად; საქართველოსაც სჭირდება სანდო, არააგრესიული მეზობელი და პარტნიორი...** შესაბამისად, **ორმხრივად მომგებიანია თურქეთ-საქართველოს კეთილმეზობლობა.**

ერთი აქტუალური თემაც:

ძველი ტოპონიმები ინახავენ ავტოქტონი მოსახლეობის ენას; ხალხური მეხსიერება ლეგენდარულ-მითური ფორმით ინარჩუნებს შორეულ წარსულს... გამარჯვებული მომხდლური ცდილობს, მოსპოს დამხვდურის ისტორიული ცნობიერება: ხალხს ფიზიკურად ანადგურებს (იშვიათად) ან უცვლის მას ენასა და კულტურას. ასიმილაციის პროცესი მთავრდება ძველი ონომასტიკონის შეცვლით. ამგვარ გზას ადგა ოსმალეთის იმპერიაც, რუსეთის იმპერიაც და ა.შ.

1920 yılın Rusya – Türkiye Moskova sözleşmesine uygun olarak, 13 Ekim 1921-de Kars’da yasal Gürcistan hükümeti görmezden gelinilerek, Sovyet Rusya’sı Gürcistan adına kendi kukla kanunsuz rejimine bolşevik cunta Sergo Orjonikidze ile Türkiye ile anlaşma imzalatıldı. (Sovyet Gürcistan’ın reel hükümeti diye adlandırılan ); Bu anlaşmanın “gücüyle” Türkiye Berlin Antlaşmasıyla “kaybettiği” yerleri geri aldı. Bunlar arasında Artvin ili, Gürcistan’ın tarihi önem taşıyan yerlerini: Tao, Klarjeti, Livani (Ngali), yukarı Machakel, Oltis, Şavşat, İmerkhev (1993 yılında açık seçik olmayan ... bir durumda bu anlaşmanın süresi uzatıldı )...

Bugün Gürcistan nihai olarak Rus imparatorluğu’ndan kurtuluyor; Avrupa değerleri ve devletin Avrupa Birliği’ne yönelimi yeni ve iki taraf modern Türkiye ve Gürcistan için alan oluşturmaktadır: Bağımsız Gürcistan, Türkiye için Türk dünyasına (Azerbaycan, Orta Asya) ulaşmak için tek yoldur; Gürcistan’a güvenilir, agresif olmayan komşu ve partner gereklidir .

Türkiye-Gürcistan’ın iyi komşuluk ilişkileri iki ülke yararınadır.

Bir aktüel konu daha:

Eski toponimler (yer adları) yerli nüfusun dilini saklarlar; Halkın belleği, efsane-mitolojik forma uzak geçmişi yaşıyor. Galip olan tarihsel belleği silmeye çalışıyor. Halkı yok ediyor (ender olarak), ya dili ve kültürünü yok ediyor. Asimilasyon süreci eski onomastiğin (özel adların) değişimiyle tamamlanıyor. Bu yolu izliyordu Osmanlı imparatorluğu, Rus imparatorluğu v.b.



რუსეთისაგან განსხვავებით, ბოლო პერიოდში ევროკავშირზე ორიენტირებული თურქეთის ხელისუფლება კარგად აცნობიერებს, რომ თურქეთის რესპუბლიკის საზღვრებში არსებული ქართველური ენა-კილოები და კულტურულ-მატერიალური ძეგლები **დიდი სიმდიდრეა** როგორც თურქეთის, ასევე საქართველოს მოსახლეობისათვის (თურქეთისთვის კი ფინანსური მოგების მოტანაც შეუძლია ამ რეგიონში დაგეგმილ ტურისტულ მარშრუტებს); შესაბამისად, ამჟამინდელი ხელისუფლება აღარ ზღუდავს ქართველი მეცნიერების გადაადგილებას ტაო-კლარჯეთსა და ცენტრალურ თურქეთში, მეტიც, ხელს უწყობს ქართველი და თურქი მკვლევრების თანამშრომლობას რეგიონის კულტურული მემკვიდრეობის შესწავლა-პოპულარიზაციაში... ამგვარი თანამშრომლობისა და **თურქეთ-საქართველოს ბოლოდროინდელი აქტიური კეთილშობილობის** ამსახველი მრავალმეტყველი ნიმუში იყო ჩვენი ექსპედიცია:

2006 წლის 4 აგვისტოდან 11 აგვისტომდე მეცნიერთანამშრომელთა სამეცნიერო და სტუდენტთა საველე-სასწავლო ექსპედიციას **დიობანის ბელედიეს** სოფლებმა გვიმასპინძლა...

იმერვეველი ქართველებიცა (გურჯები) და თურქებიც უზომო სიყვარულით, მონატრებით, პატივისცემით დაგვხვდნენ; გურჯისტანსა და თურქეთს შორის არსებული მრავალწახნაგოვანი გზახსნილობით ძალზე გახარებული თანამომენი მშობლიური ქვეყნების ურთიერთობების შემდგომ გაღრმავებას და ევროპულ სივრცეს მოსმიმავალი იმედებით ელიან... თუმცა არიან ისეთებიც, რომლებიც ეჭვით უყურებენ მომავალს.

ჩვენი მთავარი თურქი მასპინძელი გამორჩეულად გულლიად შეგვხვდა:

თურქეთ - საქართველოს მეგობრობის კერძო გამოხატულებად იქცა **მეიდანჩიკის** (დიობანის) სკოლის დირექტორის - ბატონი **სონერ გოგერჯინის** და ჩემი დამეგობრება: ბატონმა სონერმა როცა გაიგო, რომ ჩვენ ქუთაისში ვასწავლით მათ ენას, კულტურას - ვართ

Rusya'dan farklı olarak son zamanlarda Avrupa Birliği'ne yönelim gösteren Türk hükümeti, biliyor ki Türkiye Cumhuriyeti içinde mevcut dil-lehçeler ve kültürel – maddi eserler, Türkiye için olduğu gibi Gürcü halkı için de büyük bir zenginliktir. (Bu bölgedeki turistik güzergahlar Türkiye için mali gelir getirebilir ); Buna uygun olarak da şu anki hükümet Gürcü bilimadamlarının seyahatlerini Tao-Klarjeti'de ve Türkiyenin diğer merkezlerinde sınırlamıyor, dahası Gürcü ve Türk araştırmacıların bölgedeki kültürel mirası araştırma – yaygınlaşmasına olanak veriyor. Böyle işbirliğinin ve Türkiye-Gürcistan'ın son zamanlardaki aktif iyi komşuluk örneğini gösterenlerden biri de bu bizim seyahatimizdi:

2006 yılında 4 ağustostan 11 ağustosa kadar gezici-öğretici seyahatimizde öğrenci ve öğretim elemanlarımıza Meydancık (Dioban) Belediyesi'nin köyleri evsahipliği yaptı.

İmerhevli Gürcüler ve Türkler sevgi, özlem ve saygıyla karşıladılar; Gürcistan ve Türkiye arasında mevcut çok yönlü açıklıkla sevinçli insanlar ülkelerinin ilişkilerinin derinleşmesiyle Avrupa'ya uzanan yolda umutla bekliyorlar. Bunula beraber geleceğe şüpheyle bakanlar da var.

Türk evsahibimiz bizi içinden karşıladı.

Türkiye-Gürcistan dostluğunun bir örneği benim ve Meydancık (Dioban) Bölge okulu Müdürü – Soner Gögerçin Bey'in arkadaşlığı oldu: Bizlerin Kutaisi kentinde onların dilini ve kültürünü öğrettiğimizi duyunca

თურქული კულტურის გულწრფელი დამფასებლები და ექსპედიციის მიზანი თურქული ენის ცოდნის გაღრმავებაც იყო, მრავალმხრივი დახმარება გაგვიწია; მან “ლამაზი გურჯისტანიდან ჩასულ სტუმრებს“ საკუთარ ოჯახშიც გულუხვად გვიმასპინძლა. ჩვენმა მასპინძელმა მომდევნო ექსპედიციების ბაზადაც შემოგვთავაზა თავისი სკოლა...

აქვე, კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ **საქართველო-თურქეთის კეთილმეზობლური დამოკიდებულება** ძალზე მნიშვნელოვანია ორივე სახელმწიფოსათვის და ამ ურთიერთობებს სხვებისგანაც უნდა მოფრთხილება. მომავალში ევროპული სივრცეც გაგვეერთიანებს, მაგრამ მანამდეც (და მის გარეშეც!), საბედნიეროდ, თურქეთში ბევრსა აქვს გაცნობიერებული არა მხოლოდ **საქართველოს უალტერნატივო როლი** აზერბაიჯანსა და შუა აზიის თურქულენოვან სახელმწიფოებთან საურთიერთოდ, არამედ საქართველოს **ზოგადკავკასიური ფუნქციაც...** საქართველოც აფასებს რეგიონში თურქეთის მნიშვნელობას და მის მხარდაჭერას.

...და ამავე პარაგრაფის ბოლოს ვიტყვი იმას, რაც ჩემთვის, როგორც ქართველოლოგისთვის, ამ ეტაპზე **განსაკუთრებით არსებითია:**

ჩვენ - საქართველოსა და თურქეთის მოქალაქეებს - გვაქვს ერთნაირი ვალდებულება, მივხედოთ თურქეთის ტერიტორიაზე არსებულ ქართულ კულტურულ ძეგლებსა და თურქეთის რესპუბლიკის ავტოქთონი ქართველების მეტყველებას; მეტყველება გამორჩეულად საინტერესოა **ენათმეცნიერული თვალსაზრისით**, ვინაიდან იგი ასახავს ორი დიდი კულტურის (ქართველოურისა და თურქულის) თანაარსებობას; კერძოდ: ქართველთა (იმერველეთა, ტაოელთა, ლაზთა...) დედაენა ქართულია, სახელმწიფო ენა - თურქული, შესაბამისად, ძალზედ საინტერესოა აქაურთა ორენოვნების (ბილინგვიზმის) თავისებურებების კვლევა, **სამეტყველო კოდების შერევა**, ცვლილებაგანცდილი ფონეტიკა, მორფოლოგია, სინტაქსი, ლექსიკა...

Türk kültürüne verdiğimiz özeni ve gezimizin bir amacının da bilgimizi arttırmak olduğunu öğrenince çok yönlü yardımını gösterdi: O “güzel Gürcistan’dan gelen misafirleri” kendi evinde de cömertçe ağırladı. Evsahibimiz gelecek seyahatimizde yine kendi okulunu merkez almamızı teklif etti.

Burada yine bir kez belirtiriz ki Gürcistan-Türkiye’nin iyi komşuluk ilişkileri iki ülke için önem taşımaktadır ve bu ilişkilere başkaları da özen göstermelidir. Gelecekte Avrupa alanı da bizleri bir araya getirebilir, ama o zamana kadar (ve onsuz da!) mutluluk vericidir ki, Türkiye’de çok kişi Azerbaycan ve Orta Asya ile ulaşmada Gürcistan’ın alternatifsiz rolünün ve de genel Kafkasyadaki fonksiyonunun farkındadır. Gürcistan da bölgede Türkiye’nin barış ve desteğine değer vermektedir.

... ve bu paragrafin sonunda bir Kartvelolog olan benim için aşamada özellikle önemli şeyi söylemeliyim :

Bizlerin - Gürcistan ve Türkiye vatandaşlarının – benzer görevleri vardır. Türkiye’de bulunan Gürcü kültür eserleri ve Türkiye Cumhuriyeti’nin Otokton Gürcüler’in diline sahip çıkalım; dilbilim için konuşma daha bir enteresandır, çünkü o iki büyük kültürün (Gürcü ve Türk) birlikteliğini gösterir; öзде: Kartveller’in (İmerhevli, Taolu, Lazlar’ın...) anadili Gürcücedir, devlet dili Türkçe, buna bağlı olarak burdaki iki dilliliğin (bilingvizm) özelliklerinin incelenmesi ilginçtir. Konuşma kodlarının karışması, değişime uğramış fonetik, morfoloji, sentaks kelime hazinesi.

## იმერჯევის ადგილმდებარეობა და ჩვენი ექსპედიციის მიზანი

ტაო-კლარჯეთის სოფლები გაშენებულია მდ. ჭოროხის შენაკადების ხეობებში, რომლებიც ერთმანეთისაგან მკვეთრად გამიჯნულია მაღალი მთებითა და კლდოვანი ადგილებით. ასეთი გეოგრაფიული პირობების ხელშეწყობით საუკუნეთა განმავლობაში **ისტორიულ კლარჯეთში ჩამოყალიბდა** ერთმანეთისაგან მეტ-ნაკლებად განსხვავებული ქართველური დასახლებანი, როგორცაა: მაჭახელი (მაჭიხელი, ისტ. მიჭიხიანი), შავშეთ-იმერჯევი, ნიგალი/ლივანი (ლივანი) და საკუთრივ კლარჯეთი.

ისტორიულ შავშეთს დაახლოებით მოიცავს დღევანდელი შავშეთის რაიონი.

**იმერჯევი შავშეთის რაიონში შედის.** იმერჯევი იწყება შერთულიდან (რომელიც მალე წყალქვეშ მოექცევა) და მოიცავს რამდენიმე პატარა მდინარის ხეობას აჭარის საზღვრამდე. იმერჯევის სოფლებია: შერთული, შარაბული, სინკოთი, ჩაქველთა, დასამობი, ბრილაგარა, დავლათი, ოთკლდე, სვირევანი, ჯვარისხევი, ჩიხის ხევი, ბაზგირეთი, დიდხანი, ზიოსი, ხევწვრილი, დაბა, უბე, ჩიხორი, თეთრაკეთი, არდიასწმინდა (ნ.მარი — ანდრია წმინდა), ლიბანი, წყალსიმერი, შოლტიხევი, ბზათა, წეთილეთი, ნოხლევი, ზაქიეთი, მაჩხატეთი, მანატბა, აგარა, იმფჯრევი, ქოქლიეთი, დიობანი, ივეთი, გამეშეთი, დავითეთი, ფარნუხი (ფარამუხი), დიდმერე, რიოლეთი (ნიოლეთი), გოგიეთი, გომთა, ჯვარები, ჩიხვტა...

ამ რეგიონში იშვიათად თუ ჩატარებულა მრავალდარგობრივი აკადემიური სამეცნიერო ექსპედიციები...

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის **ქართველოლოგიის ინსტიტუტის** (ქართველური დიალექტოლოგიის) უპირველესი მიზანია ქართველური

## İmerhev'in coğrafi konumu ve araştırmamızın amacı

Tao-Klarjeti'nin köyleri Çoruh nehrinin kolları üzerinde birbirinden belirgin şekilde yüksek dağlarla ve yerlerle ayrılan vadilere sıkışmıştır. Böyle coğrafik koşullar nedeniyle asırlar boyunca Klarjeti'de az çok farklılık gösteren Gürcü yerleşimleri oluşmuştur; Machakheli (Machikheli, tar.Michikhiani), Shavshet-İmerkhevi, Nigali/Ligani (Livani) ve özelde Klarjeti de olduğu gibi.

Tarihsel Şavşat yaklaşık olarak bugünkü Şavşat bölgesini kapsar.

İmerhev Şavşat bölgesine girmektedir. İmerkhev, Şavşat'tan başlayıp (yakın gelecekte su altında kalacak) bir kaç küçük ırmak vadisini kapsar ve Achara sınırına varır. İmerhev'in köyleri şunlardır: Shertuli, Sharabuli, Sinkoti, Chakvelta, Dasamobi, Brilagara, Davlati, Otklde, Svirevani, Jvariskhevi, Chikhiskhevi, Bazgireti, Didkhani, Ziosi, Khevtsvrili, Daba, Ube, Chikhori, Tetraketi, Ardiatsminda (N.Marr-Andria-Tsminda), Libani Tskalsimeri, Sholtiskhevi, Bzata, Tsetileti, Khokhlevi, Zakieti, Machateti, Manatba, Agara, İpkhrevli, Koklieti, Diobani, İveti, Gamesheti, Daviteti, Parnukhi (Paramukhi), Didmere, Rioleti (Nioleti), Gogieti, Gomta, Jvarebi, Chikhvta.

Bu bölgelerde yapılan akademik bilimsel geziler azdır.

Akaki Tsereteli Devlet Üniversitesi- Kartveloloji Enstitüsü (Gürcü Lehçebilim) nün ana amacı Gürcü lehçelerinin

დიალექტების, ქართველური ფოლკლორისა და ეთნოგრაფიის შესწავლა; საგანგებოდ შეისწავლება სამეტყველო კოდების შერევა, ზოგადად, კულტურათა ურთიერთგავლენა. ყოველი წლის ზაფხულში ინსტიტუტის მომძიებელთა ჯგუფების ბაზებზე ქართველოლოგიის ინსტიტუტის თანამშრომელთა ხელმძღვანელობით საველე პრაქტიკას გადიან აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიისა და ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტები. მათი მუშაობის შედეგები განიხილება საუნივერსიტეტო კონფერენციებზე. პრაქტიკებს ხელმძღვანელობენ ინსტიტუტის მეცნიერთანამშრომლები. წინა წლებში საველე-სასწავლო ექსპედიციები განხორციელდა სამეგრელოში, ლეჩხუმში, ხევსურეთში, სამცხეში, სვანეთში, იმერეთში, აჭარაში...

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებიცა და ქართველოლოგიის ინსტიტუტის მეცნიერთანამშრომლებიც განსაკუთრებული მონატრებით ისწავროდნენ ტაო-კლარჯეთისკენ; კერძოდ, იმერჯევის ექსპედიციაში მონაწილეობდნენ: **ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები:** ტარიელ ფუტკარაძე (ექსპედიციის ხელმძღვანელი), ეკა დადიანი, გიგა ქამუშაძე, მაია მიქაუტაძე, შალვა კირთაძე, ლილი ლომთაძე, დარეჯან ბაკურაძე; ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი როლანდ თოფჩიშვილი, ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი ინგა ლუტიძე, საქართველოს ეროვნული მუზეუმის ერთ-ერთი ხელმძღვანელი პროფესორი ნოდარ შომიტაშვილი; **მაგისტრანტები:** ეკა ლიპარტელიანი, ლალი რატიანი, თეა შენგელია, ნათია ფრუიძე, მზექალა ჩანქსელიანი; **ბაკალავრიატის სტუდენტები:** ელისო აბესაძე, ნინო აბულაძე, სვეტა ადამია, დათო აფრიდონიძე, თამარ ახალაძე, ინგა ბერაძე, ეკა გუნცაძე, ინგა კუპრაშვილი, ლანა ედიბერიძე, სოფიო ივანიაძე, გულისა მეფარიშვილი, რატი ფუტკარაძე, ნათია ხურცილავა, ხატია ჯანგავაძე; **მძღოლი:** მალხაზ თუთისანი.

Gürcü folklorunun ve etnografyasının öğrenilmesidir. Önemle konuşma kodlarının birbirine karışması, genelde kültürlerin birbirine olan etkisi. Akaki Tseretlis Devlet Üniversitesi filoloji ve tarih fakültesi öğrencileri, enstitünün araştırma grupları temelinde, Kartveloloji Enstitüsü çalışanları önderliğinde her yılın yaz döneminde gezi pratik eğitimi görüyorlar. Onların çalışma sonuçları üniversite konferanslarında incelenir. Enstitünün bilim elemanları pratik yapanlara önderlik yapmaktadır. Önceki yıllarda gezici-öğrenim seyahatları Samegrelo'da , Lechkhumi'de, Khevsureti'de, Samtskhe'de, Svaneti'de, İmereti'de, Achara'da hayata geçirildi.

Akaki Tsereteli Devlet Üniversite öğrencileri ve Kartveloloji Enstitüsü bilim elemanları özel bir özlemle Tao-Klarjeti'ye doğru yöneliyorlardı; İmerhevi gezisine özelde şunlar katılıyorlardı: Kutaisi Akaki Tsereteli Devlet Üniversitesi profesör-öğretim görevlileri: Tariel Putkaradze (gezi rehberi), Eka Dadiani, Giga Kamushadze, Maia Mikautadze, Shalva Kirtadze, Lili Lomtadze, Darejan Bakuradze; İvane Cavakhishvili Devlet Üniversitesi profesörü Roland Topchishvili, İlia Chavchavadze Devlet Üniversitesi profesörü İnga Ghutidze, Gürcistan Milli Müzesi rehberlerinden Profesör Nodar Shoshitashvili, Master öğrenciler: Eka Liparteliani, Lali Ratiani, Tea Shengelia, Natia Pruidze, Nizekala Chankseliani; Bakalorya öğrencileri: Eliso Abesadze, Nino Abuladze, Sveta Adamia, Dato Agridonidze, Tamar Akhaladze, İnga Beradze, Eka Guntsadze, İnga Kuprashvili, Lana Ediberidze, Sopio İvaniadze, Gulisa Meparishvili, Rati Putkaradze, Natia Khurtsilava, Khatia Jangavadze; Sürücü: Malkhaz Tutisani.

სხვა ექსპედიციებისაგან განსხვავებით, **იმერჯევის ექსპედიციის მიზნად** უფრო ფართო მოცულობის სამუშაო დაიგეგმა: სათავის ფესტივალში მონაწილეობა, ქართველური დიალექტური ტექსტების ჩაწერა, დაკვირვება ადგილობრივ ქართველთა და თურქთა თურქულ მეტყველებაზე, რეგიონში არსებულ სამეტყველო კოდთა შერევის თავისებურებების შესწავლა და სხვ. ასევე, გვსურდა, მოგვეპოვებინა მასალები ექსპედიციის მონაწილე თურქოლოგ პროფესორთა და სტუდენტთა სამეცნიერო თემებისათვის და, რაც ემოციური თვალსაზრისით უფრო არსებითია, საუკუნეების მანძილზე უნახავი თანამოძმეების მონატრულება (**მონატრულა** - დიდი ხნის უნახავი მეგობარი თუ ოჯახის წევრი ნახა და ტკბილად მოეფერა).

İmerkhev gezisinin amacıyla diğer gezilerden farklı olarak daha kapsamlı iş planı oluşturuldu: satave Festivaline katılmak, yalnız Gürcü Lehçe metinlerini yazmakla kalmayıp, yerli Gürcüler'in ve Türkçe konuşmaların özelliklerine dikkat edip, bölgedeki konuşma kodlarının birbirine karışımı ve diğer unsurları inceleyecektik. Yine geziye katılan Türkolog profesör ve öğrenciler için seminer konuları bulacak ve önemlisi duygusal yönden öneme sahip asırlardır görmediğimiz kardeşlerimizin özlemi (özlem giderdiler-uzun zamanlardır görmediği arkadaşısı ve ya aile üyesi gördü ve ilgiyle şefkat gösterdi).

## ექსპედიციის საქმიანი დღეები

...ეს დღეები საუკუნოვან მონატრებას ასახავენ და სამარადჟამო შთაბეჭდილებებს იტყვენ:

### 03.08.06. გზადაგზა

ექსპედიცია დაიწყო ერთ 25-კაციან მიკროავტობუსში ჩასხდომით 2006 წლის 3 აგვისტოს: უნივერსიტეტის ეზოდან სტუდენტების ნათესავთა და მეგობართა **ხელისგულების მოძრაი თაიგული ლოცავს შორს** (ზოგისთვის საოცნებო ქართველურ ველში, ზოგისთვის ბურუსში) **მიმავალთ** - მხიარულად მიმავალთ. პირველი გაჩერება ურეკში; ექსპედიციას საზღვაო განწყობა/სივრილე და ერთი მსუბუქი მანქანა ემატება. მეორე გაჩერება ბათუმში: მიკროავტობუსის ისედაც სავსე სალონში ექსპედიციის თბილისელი წევრები ისეთი ლამაზი განწყობით შემოდიან, დასაჯდომ ადგილთა სინაკლულე არავის აწუხებს. მცირედშემაწუხებელი საბაჟო “გასეირნება“ და მესამე სასიამოვნო გაჩერება: ახლანდელ ქემალფაშასთან, ანუ ძველ მაკრიალთან ახლოს, ზოფამდე რამდენიმე კილომეტრში - კომფორტული (მოწესრიგებული სველი წერტილები და დამსვენებლის მომლოდინე მაგიდები ნაკლებად შემაწუხებელი მუსიკის ფერადოვან ციმციმში), მშვიდი და მშვენიერი ლაზურჟღერადი პლიაჟი. დროც გვაქვს: იმერჯევში ხუთ აგვისტოს გველიან, ამიტომ აა ჩვენს გეგმაში საღამოს სუფთა ზღვა და ღამისთევა ქართველთა დედაზღვის - პონტოს/პონტის (< ფოთის? < \*ფათის/ფასის/მასის) ზღვის ნაპირზე. ვფიქრობ: ამ ექსტრემალური ღამისთევით უფრო სწრაფად გავიცნობთ ერთმანეთს ექსპედიციის წევრები: აუცილებელსათქმელი სადღევრძელოებით ამაღლებული ნამდვილქართული პურობა (არა სამარცხვინო მემფრალეობის/ლოთობის) და ხელოვნური (სიტუაციურ-“ტესტური“) სირთულენი სწრაფად ჩამოაყალიბებს ურთიერთობებს...

## Araştırma grubumuzun faaliyet günleri

...Bu günler asırlık özlemi ifade eder ve edebi izlenimleri içinde barındırır:

### 03.08.06 Yol boyunca

Gezi 25 kişilik küçük bir otobüste 03 ağustos 2006da başladı:

Üniversitenin bahçesinden öğrencilerin akrabaları ve arkadaşlarının avuçiçlerinin bukesi uzaklara gidenleri (bazısı için hayal ettiği Gürcü çevresine bazısı için bulanık ) dualarla uğurluyor neşeyle. İlk durak Ureki’de Geziye deniz ruh hali serinlik ve hafif bir araç ekleniyor. İkinci durak yeri Batumi: Küçük otobüs öylesine de dolu salonuna gezimizin Tiflis’li üyeleri güzel bir havayla geliyorlar otobüse ki oturma yerlerinin azlığı kimseye sıkıntı vermiyor. Az keyifsiz gümrük “yolculuğu” ve üçüncü mutluluk verici durak: Şimdiki Kemalpaşa, yada eski Makriali yakınında Hopa’ya bir kaç kilometre uzaklıkta – komforlu (düzenli ıslak alanlar ve dinlenmeye gelecekleri bekleyen masalar, rahatsız etmeyen renkli ışıklar içindeki müzik.), sakın ve güzel Laz esintili plaj. Zamanımız da var: İmerkhev’de bizleri 5 ağustosta bekliyorlar. Bunun için ki planımızda akşamın temiz denizsuyu ve geceleme var Gürcü anadenizinde-Ponto/Pont (< Poti? <Pati? / Pasi/ Mas) denizi kıyısında. Düşünüyorum ki, bu olağanüstü sabahlamayla gezi gezi üyeleri birbirimizi daha çabuk tanırız. Mutlaka söylenmesi gerekenlere kadeh kaldırıp, yücelmiş, gerçek Gürcü sofrası (mahçup etmeyen bir sarhoşluk) ve zoraki (durum-test) bazı durumlar ilişkilerin belirlenmesini hızlandırıyor.

სუფრის გაშლამდე **ვამბობ:**

საჭიროა, ფული დავზოგოთ მომდევნო დღეებისთვის, ამიტომ ამ თბილ საღამოს და ასე მონატრებულ, მშვენიერ ადგილას მცირეოდენი ღვინის ფონზე ვისაუბროთ ჩვენი წესით; პირველივე დღესვე არ არის აუცილებელი სასტუმროში დავიხარჯოთ, თუმცა საკმარისი თანხაც გვაქვს; ვისაც ღამისთევა სასტუმროში გირჩევნიათ, აქვეა ხოფა, იქ სულ გველიან (ზოგს მართლა არ შეუძლია დიდხანს ჯდომა სუფრასთან, მცირე წათვლემა და ამომავალ მზესთან ზღვის პირას შეხვედრა; ზოგს სუფთათეთრეულიანი ლოგინის კომფორტი არ ეთმობა, ზოგს კი ექსპედიციური ერთობის მიტოვება არ სურს)... ზღვისპირზე ღამისთვის სურვილმა თვალსაჩინოდ იმეტა: მხოლოდ სამი აღმოჩნდა ხოფამდე მისაყვანი. მივიყვანე, კარგად დავალაგე, დავუბარე, დილის 7 საათზე მოვაკითხავთ-მეთქი და მალევე შევუერთდი მხიარულთა და გამძლეთა “ამქარს“... მეზობლად ჩაის ფონზე მასლაათობენ; მერე და მერე ჩვენი და სხვა დამსვენებლების მაგიდები თუ სასმელები საზიარო გახდა: ჩვენც მოგვეწონა **ბაასი გემრიელი ჩაის ფონზე**, მათაც გაუგეს გემო ღვითურ სასმელს (კარგია კარგი ჩაი, მაგრამ ჩვენებური ტრადიციული **სადღეგრძელო ანუ კურთხეული სიტყვა** საუკუნოვანი ქართველური რიტუალია, მას ვერაფერი შეგვიცვლის, ვფიქრობ მე; კარგია ღვინო, მაგრამ საშიშია, ფიქრობენ, ალბათ, ისინი)...

ღამის სამ თუ ოთხ საათზე, ჩემს მანქანაში წათვლემის წინ, როცა ვაჯამებდი პირველი (და არსებითი!) დღის შედეგებს, სიხარულით ვფიქრობდი: ერთსულოვნება უკვე მიღწეულია, მოვალეობა-ფუნქციებიც - უმტკივნეულოდ განაწილებული; ექსპედიცია წარმატებული და ხალისიანი იქნება...

Sofra açılana kadar diyorum ki: Sonraki günler için paramızı tasarruf etmeliyiz. Çünkü; böyle sıcak akşamda ve böyle özlem duyulan güzel yerde biraz şarapla gelenliğimize göre sohbet edelim; ilk günden otelde masraflar gerekli değildir. Gerçi yeteri kadar paramızda var; geceyi otelde tercih edenler için Hopa hemen şurda, orda her zaman bizleri bekliyorlar (bazıları gerçekten de uzun süreli sofralarda oturamıyor, az bir uyuklama ve doğacak güneşle sahilde buluşma; bazıları temiz çarşafly yataklardan vazgeçemezken, bazıları ise gezi bütünlüğünü terketmek istemiyor: Deniz kenarında sabahlama arzusu baskın çıktı. Hopa'ya kadar götürmem gereken sadece üç kişi çıktı. Götürdüm. Güzelce yerleştirdim ve sabah saat 7-de uğrayacağımızı söyleyerek çabucak neşeli ve dayanıklı “meslektaşlarımıza” katıldım. Yanbaşımızda komşu olarak çay eşliğinde sohbet ediyorlar; Daha sonraları bizim ve diğer dinlenenlerin masaları ve içecekleri paylaşıldı: Çay sohbetini biz de beğendik, onlarda tanrısal içeceğin tadını aldılar (iyi çay güzeldir, ama bizim geleneksel kadeh kaldırmamız yani kutsanmış söz yüzyıllardır Gürcü kuttörenidir. Bunu hiçbirşey değiştiremez diye düşünüyorum; belki onlarda şarap güzeldir, ama tehlikelidir diye düşünüyorlar)

Gecenin içi ya da dördünde, arabamda uyuklamadan önce ilk günü (olumlu olarak) sonuçlarını değerlendirirken sevinçle düşünüyordum: Görüşbirliğine varılmıştır, görev-fonksiyonlar problemsiz paylaşılmıştır; Gezi başarılı ve zevkli olacaktır...

#### 04.08.06. განწირული ჭოროხი და ამაყი არტანუჯი

სამსაათიანი წაძინების შემდეგ 6 საათზე თითქმის ყველას მხიარულად ღვიძავს; ერთმანეთს ეხუმრებიან, კისკისებენ; ასე მგონია, მათი ხმები სხვა დამსვენებლებსაც **ფრინველთა ალიონურ გალობად** ესმით. დილით უფრო შთამბეჭდავია ჩვენი პონტოს თუ ფაზისის ზღვის ეს სანაპირო; შემთხვევით არ ჰქვია აქაურობას **მაკრიალი...**

ხოფაში 7 საათზე ვართ; სასტუმროში დაბინავებული ბ-ნი როლანდის გადახალისებული “ოჯახიც” უკვე ფეხზეა; მალევე იწყება ბორჩხისკენ მიმავალი ლამაზი აღმართი; ყველაზე ლამაზ გორასთან ვაჩერებ და ვამბობ: აქედან ბევრი რამ ჩანს: პირდაპირ ზღვაა ისევ (მალე მას მთები მოეფარება); ზღვის გაღმა, მარჯვნივ, ბათუმია, მარცხნივ - ტრაპიზონი, რომელიც ადრე იყო დიდი ქართლის ნაწილი - სოფელი მეგრელთა (როგორც “ქართლის ცხოვრება” გვამცნობს); ახლა კი თურქეთის დიდი და ლამაზი ქალაქია, სადაც ძმურად ცხოვრობენ თურქებიც, ქართველებიც (ლაზები, იმერეველები, ლივანელები...) და სხვებიც; ამ მთის გადაღმა ჭოროხის ხეობაა; კარგად დაიმანსოვრეთ ეს ადგილი, აქედან წარსულიცა და მომავალიც სხვაგვარად ჩანს, ვიდრე ნებისმიერი სხვა გადასახედიდან... ექსპედიციის სხვა წევრებსაც მრავალწახნაგოვანი განცდა აქვთ სინარტულიან მიმიკებს მიღმა.

ბორჩხისკენ მიმავალი დაღმართი, გზის მარცხნივ - თამარის ხიდი, მის ფონზე ჯამე მაღალი მინარეთით და ბორჩხელი ქართველების (ერთ-ერთი - თექიმ არიფაღაოღლუ) ბენზინოფისი: ქართველები გარეგნულად, ენით; მაინც შორიდან გამოხედვა; ამბობენ, რომ მათი მამა, ახლა ასაკოვანი, მაგარი, გულღია ქართველია, თავისი ქართველობა ეამაყება და ტკივაო... ალბათ, არიფაღაოღლუებიც ბევრმა გზააბნეულმა გურჯისტანელმა შეაწუხა და მათი მზერაც ფრთხილი გახდა... სხვა სახელმწიფოში შენი ენით მეტყველი ყველა საიმედოა, ასე მგონია ახლაც, თუმცა, უცხოეთში საექვო/არასანდო ქართველიც არაიშვიათად გადამყრია...

#### 04.08.06 Yıkılmaya mahkum Çoruh ve mağrur Ardanuç

Üç saatlik uykudan sonra saat 6’da hemen herkes neşeyle uyanıyor; şakalaşüyor, gülüşüyorlar; öyle sanıyorum ki onların sesleri dinlenenlere kuşların seherde ötüşü gibi geliyor. Ponto veya Pazisi denizinin bu kıyısı sabahleyin daha bir etkileyici; sanırım bu yerlerin adının Makriali olması tesadüf değildir...

Sabah saat 7 de Hopa’dayız. Otele yerleşen Rolandi Bey’in “ailesi” de ayakta artık; Borçka’ya doğru giden güzel yokuş hemen başlıyor ; En güzel bir tepede durdurup diyorum ki; Buradan çok şey görülüyor: Karşımızda yine deniz var (birazdan onu dağlar kapatacak); denizin karşısında, sağda Batum var.solda – önceden Kartli’nin bir parçası olan Trabzon-Megrel köyü (“Kartlis Tshovreba”nın bize bildirildiği gibi ); şimdi ise Türklerin , Gürcülerin (Laz, İmerkhev, Livane) ve diğerlerinin kardeşçe yaşadığı Türkiye’nin büyük bir kenti; bu dağın öbür yanında Çoruh vadisi var; Bu yeri iyi hatırlayın, buradan diğer yerlere nazaran geçmiş ve gelecek farklı görülüyor... Gezi üyelerinin diğer üyelerinde, sevinçli mimiklerinin ötesinde çok yönlü bir ruh hali var.

Borçka’ya giden inişde, yolun solunda – Tamara köprüsü , fonunda ise yüksek mimaresiyle cami ve Borçkalı gürcülerden biri olan (Tekin Arifağaoğlu) petrol ofisi var; Dil ve dışdan uzaktan bakışla Gürcü görünüm; diyorlar ki; babaları şimdi çok ihtiyar, açıkyürekli Gürcü, Gürcülüğüyle gurur duyuyor ve üzülüyor... Herhalde Arifağaoğullarına da „yolunu şaşırın,, bir çok Gürcistanlı sıkıntı verdi ve onların bakışlarında ihtiyatlı oldu. Yabancı ülkede senin dilinde konuşan herkes güvenilirdir, şimdi de böyle sanıyorum. Bununla beraber yurtdışında şüpheli, güvenilmez bir çok Gürcüyle de karşılaşmışımdır...



საერთოდ, სანდოობა და უნდოობა უფრო განკერძოებულ ადამიანს ახასიათებს, ვიდრე - თავისი მიწა-წყლის პატრონ ერს. ოსმალონი ქართულს ანადგურებდნენ, ამჟამინდელი თურქები კი პატივისცემით ეპყრობიან თურქეთის რესპუბლიკის საზღვრებში მოქცეულ ქართულ კულტურას; ამიტომაც შედგება თურქეთ-საქართველოს თანამედროვე კეთილმეზობლობა.

ართვინის ციხის ძირში ვჩერდებით: არდ-ოვანი: არდი/ქართი - ქართველთა და ურარტუელთა უძველესი ღვთაება იყო. ამიტომაც ციხე-ქალაქის სახელის ფუძედ **არდი/ქართი** (არდ-ოვანი > ართოვანი > ართუანი > ართვანი/ართვინი); ავტოქთონი ქართველები შეწუხებულნი არიან, აქ ხანდახან შემომვლელი სომხები ამბობენ, ეს ქალაქი სომხური იყო...

ვამწვიდებ: **არარატიც** კი **ურარტუდან** მოდის; ურარტუ კი ჩვენი მონათესავე ხალხის ქვეყანას მაშინ ერქვა, როცა დღევანდელი სომხების წინაპრები ჯერ კიდევ ირანის ტრამალებზე მომთაბარებოდნენ-მეთქი. სხვათაშორის, სომეხთა/არმენთა ენაში საქართველოს აღმნიშვნელი სიტყვის ("ვრასტან") ფუძეში ურარტ- ძირი შეიძლება აღვადგინოთ (\*ვრასტან <\*ვრა(რ)ტ-სტან: **ვრა(რ)ტ- < ურარტ-**); ე.ი. სავარაუდოა, რომ არმენები ჩვენ გვეძახიან ურარტუელებს.

შემდეგ: ჭოროხის ხეობის ხედი ზემოდან. გავჩერდით **ქალაქ ართვინის** პირდაპირ:

რკინის არტახებითაა შეკრული ჭოროხის ხეობის ფერდობები; მალე დაბაძენ თუ დააგუბებენ დიდ და თავისუფალ მდინარეს, დაირღვევა ეკოსისტემა, ზღვა შეუტევს საქართველოს ისედაც მცირე სანაპიროს (ნაპირსამაგრი სამუშაოები დაამახინჯებს და გააუხეშებს ლამაზ ოაზისებს)... მოწყენილია ჭოროხი. საოცრად ლამაზია ციცაბო მთას აყოლილ-შერწყმული ართვინი: მთას შეფენილი ქალაქი (შატილს არა ჰგავს, მაგრამ მაინც შატილი მახსენდება). სტუდენტები მხიარულ სურათებს იღებენ, ნელ-ნელა ყველანი "სტუდენტები" ვხდებით;

Genelde güvenilirlik ve güvenilmezlik ulus-toprağın değil bireyle ilgili durumudur. Osmanlı Gürcülüğü yokederken, şimdiki Türkler; sınırları içindeki Gürcü kültürüne saygıyla yaklaşıyorlar; bunu içindir ki Türkiye – Gürcistan’ın çağdaş iyikomşuluk ilişkilerinin oluşması gerçekleşir.

Artvin kalesi dibinde duruyoruz: Ard-ovani: Ardi/Karti – Gürcü ve Urartuların en eski tanrısı idi . Bunun içindir ki kalenin adının kökü Ardi/Karti (Ard-Ovani >Artovani> Artuani>Artvani>Artvini ); yerli Gürcüler bazen buraya gelen Ermenilerin buranın Ermeni kenti olduğunu söylemelerinden rahatsız oluyorlar...

Teselli veriyorum: Ararat bile Urartu’dan gelmektedir; Urartu ise bize akraba halkların ülkesinin o zamanki adıydı. Henüz o zaman Ermenilerin ataları İran’ın steplerinde göçbeydiler dedim. Söz arasında Ermeni dilinde Gürcistan’ı ifade eden (“Vrastan”) kelimesinin kökünde Urrt-kökünü yeniden kurarsak (<Urast-<Urart>-); yani Ermeniler bizleri Urartular diye adlandırıyorlar.

Sonra: Çoruh vadisinin yukarıdan görünümü . Artvin ilin’in karşısında durduk:

Çoruh vadisinin yamaçları demir-betonlarla sarılıp bağlanmıştı; büyük ve özgür nehri çabuk bağlarlar ve toplamaya başlarlar, Eko sistem bozulur. Deniz, öylesine de küçük kıyısına baskın yapar ( Kıyuyu sağlamlaştıran çalışmalar çirkin ve kaba yapar oazisini. Neşesizdir Çoruh. Fevkaledе güzeldir dik yamaçlara uzanan - bütünleşen Artvin: Dağa yayılmış kent (Şatili’ye benzemiyor ama, Şatili’yi hatırlıyorum). Öğrenciler , neşeli fotoğraflar çekiyorlar , yavaş yavaş hepimiz “öğrenciler” oluyoruz ;

თითქოსდა იშლება ასაკობრივი და ვალდებულებებრივი ზღვარი; დასაბამელად განწირული ჭოროხისა და გაღმიდან მოკეკლუცე ართვინის ფონზე ჩვენ ერთნი და ერთიანნი ვართ.

ჯერ ისევ დილაა. დიობანში ასვლამდე **არტანუჯს** ვგეგმავ: არტანუჯი საბოლოოდ შეცვლის ექსპედიციის წევრთა მსოფლალქმას; მინდა, რომ აქაური სამყარო მათ არტანუჯის გადმოსახედიდან აღიქვან; არტანუჯის სივრცეიდან იმერჯვეში ამსვლელთა განცდები უფრო მძაფრი იქნება; თორთუმის სიმაღლეზე დავამთავრებ ექსპედიციას - **არტანუჯსა და თორთუმს შორის დრო** ყველასთვის დაუვიწყარ შთაბეჭდილებად აიძივება!

არტანუჯს დღეს ორი ასასვლელი აქვს: ფერდობს შეფენილი სოფლის მხრიდან - რკინის კიბით და უძველესი ქვის გზა-კიბის ნარჩენები მინდვრის მხრიდან. შარშან მე ამ **უგზოო გზით** ავედი - წინაპრების კვალზე. მეშინია, ვინმე არ ჩამოვარდეს; ვისაც შიში აქვს, ვტოვებთ (ორიოდეს!); ვნაწილდებით. გზა უკვე ვიცი, ამიტომ ჩემი სწრაფი სვლა სხვებსაც ამხნევეს; მხოლოდ ორი ადგილია რთული დასაწყისში და ბოლოსკენ; ბოლოში ვიწრო და ნახევარმეტრიანი სიმაღლის ბილიკია გასავლელი; მხოლოდ დაწოლილად შეეძლება გაფორთხვა (მხოლოდ შალვას გაუჭირდება ცოტათი - დიდია ტანად!); შეიძლება ამ ბილიკის კიდეს ხელებით ჩამოეკიდო და უფსკრულის თავზე ქვა-კედელს ხელებით გაჰყვე (ზოგი ასეც ვიქცევით). ამ გზის დაძლევა ექსპედიციის შემდგომ დღეებს გააიოლებს (ურისკო წარმატება უგემურია!).

არტანუჯის თავზე დიდი მოედანია; პირდაპირ ქალაქი არტანუჯია; მის ზემოთ ლამაზი მინდვრები, ალბათ, ძველი სავარგულები; მარჯვნივ შორიდან ჩამომავალი ლამაზი ხეობები; მარცხნივ, უფსკრულის ძირას, ჭოროხის ხეობიდან ამომავალი გზა ვიწრო ბილიკად ჩანს, რომელზეც დროდადრო თითქოს პატარა ჭიანჭველები დადიან; უკან ჩვენი მინდორია, საიდანაც ამოვედით. ათამდე დიდ და

görev ve yaş farkı sınırı sanki dağılıyor; Bağlanmaya mahkum Çoruh ve karşıdaki nazlı Artvin'in ortamında biz biriz ve birlikdeyiz.

Henüz yine sabah. Diyoban'a çıkana kadar Ardanuç'u planlıyorum: Ardanuç gezi üyelerinin algımlarını değiştirecektir nihai olarak; istiyorum ki buranın dünyasını Ardanuç'dan bakarak algılasınlar; Ardanuç'un alanından İmerkhev'e çıkanların hisleri daha güçlü olacaktır; Tortum'un rakımında geziyi bitiririm – Bunlar arasında zaman herkes için unutulmaz etkididir.

Ardanuç'a günümüzde iki çıkış var : Yamaca yayılmış köy tarafından – demir merdiven ve kır tarafından en eski taş yol – merdiven kalıntıları.

Geçen ben bu yolsuz güzergahtan çıktım – ataların izine. Korkuyorum kimse düşmesin; korkusu olanları bırakıp (iki-üç) gruplaşıyoruz. Yolu artık biliyorum. Bunun için benim hızlı çıkışım diğerlerini de canlandırıyor; sadece zorlu iki yer var başlangıçta ve sonunda; sonunda dar ve ve yarım metre yükseklikde patika var geçilecek; yalnızca yatarak sürünmek mümkün. (Sadece Şalva zorlanır – bedenen büyük olduğundan!); Patikanın kenarına elle asılarak ve uçurumun başındaki taş duvarda ilerlemek de mümkün (bazılarımız böyle yapıyor ). Bunu aşmak gezinin diğer günlerini kolaylaştırır (risksiz başarılar tatsızdır !).

Ardanuç'un başında büyük meydan bulunmakta; karşısında Ardanuç kenti ; onun üstünde güzel kırlar , anlaşılabilir eski kullanım yerleri; sağda uzakdan inen güzel vadiler ; solda uçurum dibinde Çoruh vadisinden çıkan yol üzerinde sanki zaman zaman karıncalar gezen ince bir patika gibi görünüyor. Arkamızda çıktığımız kırlar var. On kadar irili ufaklı vadiyi

ხეობას აერთებს არტანუჯი, საოცრად სტრატეგიული ადგილია, როგორც გზათშესაყარი (ამ მხრივ არტანუჯს მხოლოდ თორთუმ-ესენდურაკი თუ შეედრება!); ამ უზარმაზარ ქვაბულში კი ეს კლდე! კლდე, რომელზეც ჩვენმა წინაპრებმა დიდი სიმაგრე ააშენეს, რომელშიც ალბათ **ხალდის/არდის** სალოცავი იყო: \*არდ-ან-ურ-ი > არტანუჯი (რ/ჯ მონაცვლეობა ქართველურში უცხო არ არის; კერძოდ, დასტურდება მეგრულშიც, ხევსურულშიც: ხარი/ხოჯი, ყურა/ყუჯა). შემდეგ აქ იყო ქართული ეკლესია და ვახტანგ გორგასლის ციხე-სიმაგრე. ახლა ეკლესიისა და ციხის ნაშთებია მხოლოდ, მაგრამ საოცრად დიდებული ნაშთები.

საერთო განცდა: ამაყი ბედნიერება წინაპართა მძლავრი ნაკვალევის გამო.

ისევ ნელ-ნელა და მშვიდობიანად დავეშვით; კლდე-ქალაქის ძირას სადღეგრძელოთი შევებმანეთ წინაპრებს - სადედაქალაქო ციხის ამგებთ, ქართველ წარმართებს (წარმართი - სწორად მავალი; შდრ., უკუღმართი), პირველ ქრისტიანებს, ვახტანგ გორგასალს, უსახელო მეციხოვნეთ... რიტუალია ნამდვილქართული პურობა!

მცირედი ღვინო და სადღეგრძელოთა გულწრფელობა დაღლილობას აქარგებს; ჩვენი ექსპედიციის უბედნიერესი წევრები არტანუჯს აცოცხლებენ (თითქოს კი არა, ნამდვილად!), თუმცა დროებით. უნდა გავაგრძელოთ გზა იმერკვეისკენ.

გზად ყველას ძილი გვერევა, განსაკუთრებით მძლოლებს. შერთულამდე ცივ წყაროსთან ვჩერდებით, რომ გამოვიფხიზლოთ თავი და თან საუკუნეებით მონატრებული ჩვენებური წყაროც მოვინატრულოთ...

**ქოქლიეთ-იმფკრევის** ცენტრად ქცეულ **ბოჯანათში** საღამოს შევედით. ყველა თავს გვევლება, გვეკითხება, გვეფერება; პირველი მასპინძელი **მემელ ჯაფარიძეა, ვალიბეგი**. მისი მეოხებით დავბინავდით მეიდანჩიკის ანუ დიობნის (დიობანი < დიდი უბანი; შდრ.,

Arkamızda çıktığımız kırlar var. On kadar irili ufaklı vadiyi birleştiriyor Ardanuç, şaşılacak stratejik önemde birleşme yeri (bu bakımdan sadece Tortum – Esendurak Ardanuçla kıyaslanabilir. Bu kocaman oyumlu kaya! Üzerine atalarımızın kale inşaa ettiği kaya, Khalda/Arda tapınağı idi şüphesiz. \*Ardan-ur-i > Artanuji (r/c ses değişimi Gürcücede bilinen durumdur; Megrelcede de somutlaşıyor , Khevsurulide de : Khari/Khoji, gura/guja). Sonrasında ise burası tapınak ve Vakhtang Gorgasali'nin kale-şehri idi. Şimdi sadece kilise ve kale kalıntıları mevcut , ama kalıntılar olağanüstü görkemli.

Ortak duygu: Ataların güçlü izinden dolayı gururlu bir mutluluk.

Yine yavaş yavaş ve kazasız iniyoruz; kale – şehrin dibinde atalarımıza başkent kalesini inşa edenlere, pagan( çoktanrılı) Gürcülere (tsar-marti-stsorad mavalı [doğru gezen]; kıyas için ukughmarti [ters], ilk hıristiyanlara, Vakhtang Gorgasali'ye kaledeki adsızlara kadeh kaldırarak seslendik. Gerçek Gürcü sofrası bir ayindir! Biraz şarap ve içten kadehler yorgunluğu dağıtıyor; Gezimizin mutlu üyeleri Ardanuç'u canlandırıyorlar (sanki değil, gerçekden!), gerçi geçici olarak. İmerhev'e doğru yola devam edeceğiz.

Yolda hepimizi uyku basıyor, özellikle sürücülerini. Şertul'a kadar soğuk su'da duraklıyoruz , hem kendimize gelmek ve hen de asırlardır özlediğimiz pınarın özlemine gidermek için...

Kokliyet – İmpkhrevl'in merkezine dönüşen Bocanat'a akşamüstü girdik. Herkes yanibaşımızda, hatrımızı soruyorlar, sevgi gösteriyorlar; Başlıca evsahibimiz Mehmet Caparidze, Valibegi. O'nun yardımıyla Meydancık yani Diyoban (Diobani<Didi Ubani [Büyük Mahalle; kıyas için,

აჭარასა და იმერეთში არსებული სოფლების სახელი: შუა უბანი > **შუბანი**) სკოლაში, რომელშიც რემონტი ახალდამთავრებული იყო და ხანგრძლივრომატივეადი დალაგება სჭირდებოდა; დაღლილობამ აქ კი იძალა, მაგრამ არტანუჯის ძალას რა გამოლევდა ჩვენს სულსა და სხეულში. დავლაგდით, ვივახშმეთ და იატაკზე დაგებულ მინდრებზე (მინდარი - ლეიბი; შდრ., თურქ. მინდერი) დაწოლამდე, ნოდარმა და მე შვიდი პარტია მაგიდის ჩოგბურთიც ვითამაშეთ...

თითქოს, სულ ცოტა, ორი დღე მაინც გავიდა ერთ დღეში; ძალიან ხანგრძლივი ერთი დღე ასე დამთავრდა...

#### **05.08.06. სათავე ანუ ფესტივალად ქცეული მარიამობა. ხანძთა**

დილით ადრე იღვიძებს ყველა. ჩემი მანქანით რამდენიმე კაცი ბოჯანათის მაღაზიაში მივდივართ სადღესიო პროდუქტისთვის. იუსუფეღელი ნოქარი კარგად და მეგობრულად გვექცევა (კლიენტსაც იზიდავს!); ადგილობრივნიც გვეხმარებიან საყიდლების პოვნა-სახელდებაში და თარჯიმნობას სიამოვნებით გვიწვევენ; ბოჯანათი ანუ ნავანები იმნიეთის ერთ-ერთი უნაბია; აქ ცოტა ხნის წინ არავინ ცხოვრობდა, მაგრამ, ახლა თავშეყრის ადგილია: აქ არის საჩაიე, 2 მაღაზია, პურის საცხობი (სადაც ერთი იმერელი მუშაობს); სამშაბათობით აქვე იმართება სახელდახელო ბაზრობაც.

ვისაუზმეთ და წავედით სათავეზე, სადაც მთელი ხეობის, მეტიც, შავშეთისა და ართვინის რაიონების მოსახლეობა იყრის თავს და მასპინძლობს სტამბოლიდან, ანკარიდან, ბურსა-ინეგოლიდან, ადაფაზარიდან, გონენიდან, იზმითიდან, ტრაპიზონიდან და სხვა ქალაქებიდან თუ მხარეებიდან ჩამოსულ თანამომეებს...

Achara ve İmereti deki mevcut köy adı: Şua Ubani >Şubani] okulu'na yerleştik. Yorgunluk burda kendini hissettirdi, fakat Ardanuç'un verdiği enerjiyi içimizde ve bedenimizde ne bitirebilirdi. Yerleşdik, akşam yemeğimizi yedik ve zemine serili minderlere (minder-döşek; kıyas için Türk minder) yatana kadar ben ve Nodar yedi set masa tenisi oynadık...

Sanki iki gün geçti bir gün içerisinde, uzun bir gün böyle tamamlandı.

#### **05.08.06. Satave Festivali'ne dönüşmüş Meryem Ana Günü. Khandzta**

Sabah herkes erkenden uyanıyor. Birkaç kişi benim arabamla Bocanat'daki mağazaya günlük besinler için gidiyoruz. Yusufelili esnaf güzel ve dostça davranıyor (müşteri de çekiyor!); Yerin sakinleri satınalacaklarımızı bulmaya ve tercümanlığa yardımcı oluyorlar; Bocanat yani Navanebi [dolunay gibi], İmniyeti-nin bir mahallesidir.

Burda bir süre önce kimse yaşamıyordu, fakat şimdi bir toplanma yeri: Burada çayevi, iki mağaza, ekmek fırını (burada bir İmereli çalışıyor); Salı günleri Pazar yeri kuruluyor.

Kahvaltı yaptık ve Satave'ye gittik. Bütün vadiden dahası Şavşat ve Artvin'den gelenler buluşuyor ve İstanbul'dan, Ankara'dan, Bursa – İnegölden, Adapazarı'ndan, Gönen'den, İzmit'den, Trabzon'dan ve diğer illerden gelenlere evsahipliği yapıyor...

ავვისტოს პირველი კვირის გამოსასვლელ (არასამუშაო) დღეებში სათავეზე ამ დროს თურქეთის ქართველობის დიდი ნაწილი იყრის თავს. ტრადიციას ხანგრძლივი ისტორია აქვს: ზოგ სოფელში ამ დღესასწაულს **მარიობა** ჰქვია, ზოგან **შუანთობას** ეძახიან (< შუა მთობა); თურქულ ოფიციალურ ინფორმაციებში დღესასწაულის სახელია **კავკასიური ფესტივალი**, ან მოკლედ **ფესტივალი**. ადგილობრივთ არ იციან, რას უკავშირდება **მარიობა**; აქაურებისთვის ეს სიტყვა მწერის სახელია: **მარიობა** - ჭიამია: იმერვევში ამ მწერს მარია (ან **მარიობა**) ჰქვია; შდრ., აჭარული **ვარიად**, რომლისთვის ამოსავალი უნდა იყოს **მარია**; სალიტერატურო ქართულის **ჭია-მარიას** მეორე კომპონენტის ამოსავალიც **მარია** უნდა იყოს: **ჭია-მარია**; იმერვევსა და აჭარაში ხელისგულიდან მისი გაფრენის მიმართულება გათხოვების ან ცოლის მოყვანის მხარეს აჩვენებს; შდრ., ხალხური რწმენით, იმერულში **ჭია-მაიას** გაფრენის ტემპი ამინდის გამომცნობია: “ბზი-ბზი **მარია**, ხვალ თუ კარგი დარია (თუ სწრაფად გაფრინდა, დარია, თუ ზოზინით - ცუდი ამინდია). აქ არსებითი ის არის რომ იმერულ ხალხურ ლექსში დასტურდება **მარია** (ზოგ ვარიანტში - მაია)...

ვეფიქრობ, რომ უფრო ლოგიკურია მარიობის - დღესასწაულის - დაკავშირება მარიამობასთან (28.08) ან მარიობისთვისთან (ვიდრე “იდუმალი” მწერის სახელთან); კერძოდ: ქრისტიანული **მარიამობის დღესასწაული გადაეჯაჭვა შუამთობას**:

მაჭახელ-მავშეთ-ტაოსა და აჭარაში ზაფხულობით (მაის-ივლისიდან სექტემბრამდე) ოჯახის ასაკოვან ქალებს - **მემთეურებს/მემთევრებს** საქონელი მიჰყავთ მაღალ მთაში აგარებზე (ტაო), იაილებში (აჭარა), ყიშლებში (იმერვევი); **მემთეურობის** შუა პერიოდში - მემთევრების **შუა მთობის** დროს (როგორც წესი, ავვისტოს დასაწყისში), ყანის სამუშაოების მოლევის შემდეგ და თიბვის სეზონის დაწყებამდე ბარად დარჩენილი ოჯახის წევრები მიდიან მემთევრების მოსანახულებლად;

Ağustos ilk haftasında tatil günlerinde bu zamanda Satave’de Türkiye Gürcülerinin büyük bölümü toplanıyor. Geleneğin uzun bir tarihi var: Bazı köylerde bu güne Marioba deniyor: Bazı köylerde Şuantoba deniyor (<Şua Mtoba); Türk resmi kaynaklarında adı Kafkas Festivali, ya da kısaca “Festival”. Bölgenin sakinleri Marioba’nın bağıny bilmiyorlar; Buralılar için bu kelime bir böcek adıdır: Marioba – Uğurböceği: İmerkhev’de bu böceğe Maria (yada Marioba) deniyor; kıyas için, Achara’da ikinci bileşenin çıkışı da maria olmalıdır: Chia-maria; İmerkhev ve Achara’da avuçtan uçmanın yönü kız ve erkek için evlilik yönünü gösterir; kıyas için, İmeruli’de halk inancına göre uçuş temposu hava durumunun habercisidir: “bzi-bzi maria, yarın hava iyi ise (eğer hızlı uçarsa hava iyi, vızıltıyla uçarsa hava kötü olur). Esas olarak İmereti halk şiirinde doğrulanıyor maria (bazı örneklerde maia)...

Marioba bayramının – Mariamoba günüyle (28 Ağustos) ilintili olması (“gizemli” böceğin adıyla ilgisinden) daha akla yakındır; özelde: Hıristiyan Mariamoba bayramı Şuamtoba’ya bağlandı :

Machakhel - Şavşat - Tao ve Achara’dan yaz zamanında (mayıs-hazirandan eylüle kadar ) ailenin yetişkin kadınları -memteuri /memtevri’ler hayvanları yüksek dağlara –agara (Tao) yayla (Achara), kışlalara (İmerkhev) çıkarıyorlar. Memtevriliğin ortalarında - Şuamtoba zamanında (kural olarak, ağustosun başlarında), tarla çalışmaları bitince ve biçme zamanına kadar köyde (bari) kalan aile fertleri, yayladakileri (memtevrileri ) görmeye giderler.

ამ დროს მთაში იყრის თავს თითქმის ყველა მცხოვრები, რომლებიც რამდენიმე დღის განმავლობაში ერთობიან, მღერიან, ცეკვავენ, სვამენ ზომიერად, დგამენ ხალხურ წარმოდგენებს, იმართება ვაჟებისა და ხარების ჭიდაობა და სხვ... შუამთობას ლოკალური მახასიათებლებიც აქვს: ტაოში აქცენტი ფერხულსა და ხარების ჭიდაობაზე კეთდება, აჭარაში ადრე ცეკვა-თამაშები და დოლი იმართებოდა; ბოლო პერიოდში გახშირდა თითქმის ზღვარგადაცილებული ქეიფები და ბანქოს თამაში ფულზე; იმერტვეში ძირითადია ხანგრძლივი ფერხული... ნამდვილი შვანთრობა/შუამთობა მაინც ისაა, როცა ერთი სოფლის მოსახლეობა თავის საკუთარ იაილებზე/ავარებზე როცა ადის და ერთობა...

იმერტვეის მთავარი საფესტივალო (შუამთობის/მარიობის) ადგილია **სათავე** - წიწვოვანი ტყისა და ალპური ზონის გასაყარი ლამაზი მთა. **სათავე** მასობრივი თავშეყრის დაუსახლებელი ადგილია; კერძოდ, ორი ხეობის საერთო მთაზე - **უბესა და დიობანის საძოვრებზე**; აქვეა მიკროტოპონიმი **ხანძთაც**. სათავის მინდორზე საგანგებოდ აგებულ სცენაზე იმართება პროფესიონალთა კონცერტები; სახელდახელო ფარდულებში იყიდება ყველაფერი: იაფფასიანი სუვენირებიცა და ბევრი სხვა რამეც, კეთდება საჭმელი, არის სასმელიც, სახალხო ფერხულიც და ბოლოს ჩხუბებიც კი (აჭარის მსგავსად). აქ ამოდინ, ასევე, პოლიტიკოსები და მიკროფონით შეფარულ მინისაარჩევნო კამპანიასაც კი ატარებენ... ამგვარ ფესტივალზე ბევრია უცხო, ამიტომ აღარ არის ხალასი გართობა; ნათესავეები თავიანთ კარგებში მარტოვდებიან და ზოგჯერ ფარდულების თუ ფერხულის რკალს დინჯ წრეს შემოუვლიან ნაცნობ-მეგობრების სანახავად... ასეთ მასობრივ თავყრილობას უფრო და უფრო უმკვიდრდება ახალი სახელი - **ფესტივალი**... სათავეს (ასევე, წალიკვანის, კავკასორის, პარხლის და სხვ.) დღესასწაულის პერსპექტივა: ქართველური ეროვნული დღესასწაული **მარიობა** თურქეთის სახალხო დღესასწაულად - ფესტივალად - შეიძლება იქცეს.

Bu zamanda hemen herkes yaylada buluşuyor, bir kaç gün boyunca eğleniyorlar, şarkı öylüyor, dans ediyor, ölçülü içiyor, halk ortaoyunları yapılıyor, gençlerin ve boğaların güreşi vs. oluyor ...Şuamtoba'nın bölgesel belirgin özellikleri de var: Tao'da halka oyunu ve boğa güreşleri öne çıkıyor. Achara'da son zamanlarda aşırı içme ve kağıt oyunları arttı; İmerkhev'de genelde uzun süreli halka oyunları (dansları)... . Gerçek Şvrantoba/Şuamtoba bir köyün halkının kendi yayla/agarasında çıkıp eğlendiği şeydir.

İmerhev'in başlıca festival (Şuamtoba/Marioba) yeri Satave'dir – iğne yapraklı orman ve Alp seviyesinin ayrımında güzel dağ. Satave toplumsal buluşmanın yerleşimsiz yeridir; özelde iki vadinin ortak dağında – Ube ve Dioban'ın merasında; Khandza mikrotoponimi de burada. Satave kırına mahsus kurulan sahnede profesyonel konser yapılmakta; isportacılar, ucuz hediye ve başka birçok şey satılıyor, yemekler yapılıyor, içkide var, halka oyunu (dans) da ve sonunda kavgalar da ( Achara'daki gibi), ve de buraya politikacılar da çıkıyor ve küçük seçim kampanyası da yapıyorlar... Böyle festivalde yabancı çok oluyor, bunun için saf eğlence olmuyor; Akrabalar kendi çadırlarına çekiliyor ve bazen isportacı ve enerjik çember oyunlarının (dans) etrafını tanıdık ve dostları görebilmek için çevreliyorlar... Böyle toplu buluşma daha çok – festival adını alıyor Satave ( bunun gibi Tsalikvani , Kafkasör, Parkhal vd...) Gelecekte: Gürcü ulusal bayramı Marioba, Türk halk bayramı – festivaline dönüşebilir.

ჩვენი ყვითელი მიკროავტობუსი დაუბრკოლებლად ავიდა სათავეზე; მხოლოდ ერთ “აზიზ“ გოგოს შეუწყუხდა გული უჰაერობისა თუ უფუნქციობის გამო; ცუდადმყოფმა წამლად ყურადღება მიიღო (ამ დღიდან მან კარგი თარჯიმნობა გაგვიწია და უარეს გზებშიც კი ცუდად აღარ გამხდარა). მალხაზმა მანქანა კარგ ადგილას გააჩერა (ქართველური პურობის პერსპექტივით) და ჩვენც სათავის მხიარულ განწყობას მოსეირნეებად შევუერთდით:

მოსეირნე და ინტერესით მომზირალი ხალხი, გამოფენილი გასაყიდლები, თურქეთის დროშები, ათათურქის ოქროსფერი ბიუსტი, შავშეთელი მამუკა მოლაშვილის სუფთა ქართული მასპინძლობა, სხვა ქართველთა დადრეკილსიყვარულიანი ფრაზები და რაღაცნაირად გაბაცებულფერიანი სახეები, სხვა სახეები უფრო მრავლად... ჩვენ როგორ გამოვიყურებით მათთვის? ჩვენს “სავიზიტო“ წყვილს **ქართველურსამოსიანი შალვა და თეა** წარმოადგენენ; ჩვენი გოგონები ფრესკებიდან ჩამოსულთ ჰგვანან, ამკარად განსაკუთრებულ ყურადღებას ვგრძნობთ... ბუნებრივია, უფრო დიდ ყურადღებას ბაიარ-მაჰინი იმსახურებს. მისმა ამოსვლამ გააქართულა ფესტივალის სცენა; ის თურქებსაც და ქართველებსაც ეფერება, ემღერება, ეცეკვება და ზეიმს თავის არსს უბრუნებს.

ფერხულში ჩვენც ვებმებით... თან დისკუსია თემაზე: **სადაურია ეს ფერხული?** ბ-ნი როლანდი თვლის, რომ ბერძნულია, რომელიც გავრცელდა ქურთულ-თურქულ სამყაროში; მე ვამბობ, რომ სურიტულია, რომელიც მოდიფიცირებულად შემორჩა ქართველურ სამყაროს და დამკვიდრდა წინა აზიაში მოსულ ხალხებშიც...

დღის მეორე ნახევარში ნაძვების ველში ქართველური სუფრა გაიშალა, რომელიც ანლომახლო მყოფი სხვა, ადგილობრივი ქართველებით გამრავალფეროვნდა. ტრადიციული **ზომიერი პურობა:** ლამაზი (**ძველქართველურად გულწრფელი!**) სადღეგრძელოები, შალვას ლექსები, ცეკვები, ღიმილიანი ახალნაცნობობა და გენის ძალუმი ხმიანობა!

Bizim sarı küçük otobüsümüz duraksamadan Satave'ye çıktı. Yalnız bir “sevecen” kızın havasızlıktan veya hareketsizlikten yüreği fenalaştı. İlaç olarak ilgi aldı (bundan sonra ise iyi tercümanlık yaptı ve daha yollarda bile fenalaşmadı). Malkhaz arabayı iyi bir yerde durdurdu.(Gürcü sofrasını planlıyarak) ve biz de Satave'nin neşeli ruh haline gezici olarak katıldık.

Gezgin ve ilgiyle bakan halk, sergilen satılacaklar eşya, Türk bayrakları, Atatürk'ün altın renginde büstü, Şavşatlı Mamuka Molaşvili'nin Gürcü evsahipliği, diğer Gürcülerin sevgiyle taşan sözleri ve değişik şekilde soluk yüzler, diğer yüzler daha fazla.. Biz onlar için nasıl görünüyoruz? Bizim “ziyaretçi” iklimimizi Gürcü giysiler içerisindeki Şalva ve Tea oluşturuyorlar; Kızlarımız fresklerden inenlere benziyorlar, Aşikar olarak özel ilgi hissediyoruz... Doğal olarak daha çok ilgiyi Bayar Şahin hakediyor. Çıkması festivalin sahnesini Gürcüleştirdi; O, Türklere ve Gürcülere sevgi gösteriyor, şarkı söylüyor, dans ediyor ve eğlenceye anlamını kazandırıyor.

Çember oyununa (dans) bizler de katılıyoruz... Hem tartışma konusu: Çember oyunu nereye aittir? Rolandi Bey kabul ediyor ki; Kürt –Türk dünyasında yayılmış Yunan dansıdır; Ben diyorum ki; şekil değiştirerek Gürcü dünyasında kalmış ve Öz Asya'ya yerleşen halklardan kabul görmüş Hurri dansıdır...

Günün ikinci yarısında köknarlar arasında Gürcü sofrası açılarak yanımız uzak – yakın yerli Gürcülerle renklendi. Geleneksel ölçülü sofa : Güzel (açıkyürekli eski Gürcü) kadeh kaldırmaları, Şalvan'nın şiirleri, danslar, gülümseyen yeni tanıdıklar ve gençlerin güçlü sesi!

ბოლოს ისევ ლამაზი, დამეული გზა ჩვენი სამშობლოს ახალი, საჩვენო “ცენტრიდან“ (სათავედან!) ჩვენივე სახლისკენ (მშვენიერი დაშვება: მტერის მიუხედავად)...

**გვიანდელი ჩანართი:** “ავგისტოს პირველ კვირას იმიერსაქართველოს ყველა გურჯი **სათავესკენ** მიიჩქარის თავის ქართველურ ფესვებთან შესახვედრად; ჩვენც - **ამიერსაქართველოს** ქართველებიც - მუდამ იქ უნდა ვიყოთ ამ დროს მაინც... სათავე ამიერ და იმერ საქართველოების საზღვარზეა: ყველასთვის სასურველი, სავალდებულო, საამო და სასიცოცხლო სათავეს **სათავესთან შეხვედრით გახარება“**...

შარშანდლიდან მოყოლებული, ჩემს ცნობიერებაში **სათავეს** მყარად დაუკავშირდა **ხანძთა:**

**ხანძთა სათავეს** მარჯვნივა (როცა სათავეზე ავდივართ დიობნის მხრიდან): ხანძთა იწყება წყაროდან და უღელტეხილამდე არსებული ტყეები დაბლა **სეფეყანიურთ** ხანძთაში შედის, ხანძთას ჰკვეთს ძველი გზა (საოცრად ჰგავს შორეთის გზას); წყაროსთან ახლოს, ძველი გზის პირას, დიდ, ბრტყელ ქვა-კლდეზე ამოკვეთილია ჯელი//ხელი. ეს გზა გაივლის **სეფეყანის თავზე**, შემდეგ უღელტეხილის ძირში (იქ კიდევ არის ერთი ჯელი დიდ ქვაზე), გადავა ფაფართში, აქედან შოლტიკევის თავზე და გადადის აჭარასა და იმერეთში... სეფეყანაში ყოფილა დიდი ეკლესია, რომელთან ახლოს იყო ძველი უნივერსიტეტი; მეორე ასეთ უნივერსიტეტს ასახელებენ პარხალში...

წერილობითი წყაროებიდან ვალიბეგ ჯაფარიძისთვის უცნობია გიორგი მერჩულის “გრეგოლ ხანძთელის ცხოვრებაც“, ოპიზის, ხანძთის, შატბერდის, ბერთის, ფორთისა და სხვა ძველი საგანმანათლებლო ცენტრების არსებობა; მისთვის უცნობია აგრეთვე ნ. მარისა და პ. ინგოროყვას კამათი ხანძთის ადგილმდებარეობის შესახებ და შ. ფუტყარაძის “ჩვენებურების ქართულიც“, სადაც, ნ. მარისგან განსხვავებით, ავტორი არ გამორიცხავს **სათავესთან** გრიგოლ ხანძთელის **ხანძთის** არსებობას (თუმცა ჩვენი ბოლო საუბრისას მან უპირატესობა მიანიჭა ნ.მარის მოსაზრებას)...

Sonunda, yine güzel gece yolu, (Satave'den!) evimize doğru (toza rağmen hoş bir iniş)...

Gecikmiş bir ekleme: “Ağustosun ilk haftasında Gürcistan’ın batısındaki her Gürcü, Satave’ye doğru, kökleriyle buluşmaya yöneliyor; Biz de – Gürcistan’ın doğusundaki Gürcüler de bu zamanda bari orada olmalıyız... Satave Gürcistan’ın doğu – batı sınırı arasındadır. Satave’de buluşmayla mutluluk, herkes için arzu edilen, görev- keyif ve hayat verici şeydir”...

Geçen yıldan beri düşüncemde Khandzta, Satave’ye sıkıca bağlandı:

Khandzta Satave’nin sağındadır. (Diyoban tarafından Satave’ye çıkışta): Khandzta pınardan başlıyor ve Ugheltekhilli’ye kadar mevcut ormanlar ve Sepeqanayla Khandzta’ya dahildir. Khandzta’ya eski yol birleşiyor pınara yakın, eski yol yanında üzerine yassı taş- kaya üzerine el [işaret] oyulmuştur. Bu yol Sepeqana üstünden geçer, sonrasında Ugheltekhilli dibinden (orada yine taş oyuymuş el var) geçerek Papart!a geçer, oradan Sholtiskhev üzerinden Achara’ya ve İmereti’ye ulaşır... Sepegana’da önceden büyük kilise varmış, yakınında ise üniversite; böyle bir üniversiteyi Parkhal’da belirtiyorlar...

Yazılı kaynaklardan Valibeg Caparidze için bilinmeyen bir şeydir Giorgi Merchuli’nin “Grigol Khandzteli’nin Hayatı”, Opidza, Khandzta, Shatberdi, Berta, Porta ve diğer eğitim merkezlerinin varlığı ve de Niko Marr ile Pavle İngoroqva’nın Khandzta’nın bulunduğu yer hakkındaki tartışmaları ve Şuşana Putkaradze’nin “Çveneburilerin Gürcücesi”de, burada eser sahibi N.Marr’dan farklı olarak Satave’ye yakın olan Grigol Khandzteli’nin Khandzta’sını yadsımaz (bununla beraber son görüşmemizde önceliği N.Marr’ın görüşüne verdi)...



ბატონი ვალიბეგისა და სხვა იმერჯველთა მონათხრობმა (რომელიც მათ წინაპართაგან მოუსმენია) დიდი მნიშვნელობა შეიძლება შეიძინოს ხანძთის ძიებისას, ვინაიდან **რეალურ ხანძთაში** “უნივერსიტეტის” არსებობის გადმოცემა ისტორიული ხანძთის საძიებო ველს აშკარად აფართოებს... ბატონმა ვალიბეგმა ხანძთის ზემოთ, კლდეში გამოკვეთილი მღვიმეც მაჩვენა, რომელიც საოცრად ჰგავს **ზედაზნის** მღვიმეს.

ამრიგად, სულ სამი სავარაუდო **ხანძთა** გვაქვს:

**ტ. ნ.** მარი ფიქრობდა, რომ ხანძთის სამონასტრო კომპლექსი არის ძველ (ზემო) ფორთასთან ახლოს მდებარე **ნუკა-საყდარი**; ხოლო ქვემო ფორთა შატბერდია (ასევე ი.ჯავახიშვილის რუკაზეც); ე.ი. ოპიზა, შატბერდი და ნუკი საყდარი მომიჯნავე ხეობებშია; ეს აზრი უფრო არგუმენტირებადი ჩანს დღევანდელი გადასახედიდან.

**ჟ. პ.** ინგოროყვას საკმაოდ სერიოზული არგუმენტები (პ. ინგოროყვა, 1957, გვ.311-316) მოჰყავდა და ამტკიცებდა, რომ კარჩხალის ხევში **ქვემო ფორთა** არის არა **შატბერდი**, არამედ **ხანძთა... ქვემო ფორთაში** დღემდე შემორჩენილი: მთავარი ტაძარი (ნახევრად ჩამოშლილი), სამრეკლო, დანგრეული დამხმარე ნაგებობანი და, მოშორებით, ერთი დიდი შენობა (საოსტიგნე?), რომლის კარები საერთოდ ამოქოლილია (მხოლოდ სარკმლიდან ჩანს, რომ იქ ბევრი ღამურა ბუდობს); ქვემო ფორთაშივეა დიდებული წყარო (რომელსაც მაღალი, ლამაზი თაღოვანი კედელი აქვს ფასადად); გარეშემო მართლაცაა ფიცხელი “კლდევნარი”, მაგრამ არ არის “ურციხვი მალნარი” და აქაურ კლდეებში არც შეიძლება იყოს ყოფილიყო. აქვე, მიმდებარე ხეობაშია ოპიზის სამონასტრო კომპლექსიც.

**ღ. ა.** ამჟამად **ხანძთა ჰქვია მხოლოდ იმერჯველის სათავის მიმდებარე ტერიტორიას**, სადაც იმფხრეველთა და სხვა იმერჯველთა გადმოცემით იყო დიდი ძველი უნივერსიტეტი; აქვეა ტაძრის ნანგრევები, წიწვოვანი და ფოთლოვანი ტყეები, ფიცხელი კლდოვანი მთებიც...

Valibeg Bey'in ve diğer İmerkhevlilerin anlattıkları (onların atalarından duyduğu) Khandzta'da üniversitenin varlığı tarihsel Khandza'nın araştırma alanını genişlettiğinden büyük önem kazanabilir... Valibeg Bey, Khandza'nın yukarısında kayalıkta bulunan şalışacak derecede Zedazni oyuğuna benzeyen yeri de gösterdi.

Bu durumda üç varsayımlı Khandzta var :

a. Niko Marr düşünüyordu ki Khandzta Manastır kompleksi eski (yukarı) Porta'ya yakın olan Nuka – Saqdarideydi.Yalnız aşağı Porta Şatberdi'dir (İvane Javakhishvili'nin haritasında da böyledir ) ; yani Opiza, Shatberdi ve Nuka Saqdari bitişik vadilerdedir. Bu fikir günümüzdeki bakışla daha kanıtlı görünüyor.

b. Pavle İngoroqva oldukça ciddi kanıtlar (P.İngoroqva , 1957 , s. 311-316) getiriyordu ve iddia ediyordu ki Karchkhal vadisinde Aşağı Porta Shatberdi değil, Khandzta'dır... Aşağı Porta'da günümüze kadar saklı: Ana kilise (yarısı yıkılmış) , çan kulesi, yıkılmış yardımcı yapılar ve biraz uzağında olan büyük yapı (kiler?) , kapısı taşlarla dolu olup (sadece pencereden görülüyor ki bir çok yarasa yuva yapmış); Aşağı Porta'da ulu bir çeşme var (üzerinde kemerli bir duvar bulunuyor cephesinde) etrafında

gerçekden aşırı kayalıklar var, fakat “sınırsız orman” değil ve kayalıklarda olamazdı

da.

Burada yakındaki vadide Opiza Manastır kompleksi var.

g. Şu anda Khandzta, sadece İmerkhev Satave civarındaki, İphkhevlilerin ve

İmerkhevlilerin anlattığı, eski büyük üniversite'nin olduğu yerin adıdır. Tapınak kalıntıları buradadır . iğneli ve yapraklı ormanlar, aşırı kayalık dağlar da...

მიუხედავად ხანგრძლივი ძიებებისა, მაინც ბევრი კითხვა რჩება ღიად, მაგ.:

– თუ ამჟამინდელმა ოპიზამ შეინარჩუნა ისტორიული სახელი, მიმდებარე ხანძთამ (ამჟამინდელმა ქვემო პორტამ) რატომ დაკარგა ისტორიული სახელი (ხანძთა)? შდრ., ზემო ფორთის მომცრო ტაძარიც და სახელიც V საუკუნიდან დღემდე დასტურდება;

– V საუკუნიდან ცნობილ **ფორთის ტაძართან** ახლოს, ქვემო ფორთაში გრიგოლ ხანძთელი აშენებს **ახალ ტაძარს** (ზემო ფორთის ეკლესია დანგრეულია არაბების მიერ); ამ ადგილს დღესაც ფორთა ჰქვია; იქნებ მას ბერძნულად **ფორთას** უწოდებდნენ და ქართულად **ხანძთას?** არადა, წერილობითი წყაროების მიხედვით, **ფორთა** და **ხანძთა** აშკარად სხვადასხვა ადგილებია;

– შეიძლება მართლაც ორი ხანძთა იყო; **კარჩხალის ხევის ხანძთის** (ნუკი საყდრის) ლეგენდად ქცეული ისტორია იმერჯევის მოსახლეობაში ხომ არ დაუკავშირდა **სათავესთან არსებულ ხანძთას?**

– ძველი გზები მთებზე გადადიოდა (არ მიჰყვებოდა მდინარეების კალაპოტს); ზემო ფორთიდან სათავემდე ფეხით/ცხენით უფრო ნაკლები მანძილია, ვიდრე არტანუჯიდან ფორთამდე; ძველი გზების განსაზღვრის გარეშე როგორ განვსაზღვრავთ ტაძრების სიახლოვე/სიშორეს?

...ხანძთის, შატბერდის და სხვა დიდ ქართველურ კულტურულ ცენტრთა მდებარეობის საკითხი დამატებით კვლევა-ძიებას ითხოვს...

**დღის მთავარი დასკვნა:** დიდებული იმერჯეველი ქართველები დღემდე ამაყობენ წინაპართა მიერ ნაშენი ციხესიმაგრეებით, ტაძრებით, ტერასებით, ხიდებით... დანაშაულია ამ ქართველების ნაკვერჩხლის დანაცრება; მათ ჩვენი სახელმწიფოების თანადგომა სჭირდებათ; შდრ.:

Uzun araştırmalara rağmen bir çok soru yanıtız kalıyor, örnek:

– Eğer şimdiki Opiza tarihsel adını sakladıysa, yanibaşındaki Khandzta (şimdiki Aşağı Porta) neden tarihsel tarihsel adını saklıyamadı (Khandzta?) kıyas için., Yukarı Porta'nın daha ufak tapınağı ve adı V.yüzyıldan günümüze kanıtlanıyor;

– V.yüzyıldan bilinen Porta tapınağı yakınında Aşağı Porta'da Grigol Khandzteli yeni tapınak inşa etti. (Yukarı Porta kilisesi Araplar tarafından yıkıldı); Bu yerin adı şimdide Porta'dır; Belki ona Yunanca Porta, Gürcüce Khandzta diyorlardı? Oysa yazılı kaynaklarda Porta ve Khandzta açıkca ayrı yerlerdir;

– Gerçekten de iki Khandzta'nın olması olasıdır; Karchkhal vadisinin Khandzta'sın (Nuki Saqdari) efsane olmuş tarihi, İmerkhevliiler arasında Satave'de bulunan Khandzta'ya mı bağlandı acaba?

Eski yollar dağ üzerinden geçiyordu (akarsu yataklarını takip etmiyordu); Yukarı Porta'dan Satave'ye yaya/atla olan mesafe Ardanuç'dan Porta'ya göre daha kısa; Eski yollar belirlenmeden, tapınakların uzaklık/yakınlığını nasıl belirleyebiliriz? Khandzta, Shatberdi ve diğer Gürcü kültür merkezlerinin konumu bahsi ek bir araştırma –incelemeyi gerektirir...

Günün başlıca sonucu : Yüce İmerkhev halkı günümüze kadar atalarının inşa ettiği kaleler, tapınaklar, teraslar, köprülerle – övünç duyuyor...Bu Gürcüler'in kor'unu küllendirmek kabahatdir. Onlara ülkemizin desteğı gereklidir; kıyas için.:

**ზოგჯერ** სამი თაობაა ჩვენ თვალწინ: მოქართულე ბაბუა, ბურუსიანი მამა და გაღამურებული შვილიშვილი; გენი (სული, გული) უნოდ გვთხოვს: მოგვხედეთ, გვიპატრონეთ, ფესვს ვწყდებით, ვითქვიფებით... არადა გონება მათიც და ჩვენიც ყოველდღიურობით იფარგლება, ხორცი თავისას ითხოვს (თითქოს არსებითი არ იყოს სული!)...

ცხოვრება სიყვარულის სკოლაა, რომელიც, ამავე დროს, გაბურუსებულ წარსულს, უფროტკივილიან აწმყოსა და იმედიან მოლოდინს მოიცავს; დიობანის სკოლა ჩვენთვისაც სიყვარულის, დასვენების, სიმყურდოვის, სიწმინდის ველად იქცა: სკოლა დგას იმ ადგილას, რომელსაც **ქვარი** ჰქვია დღესაც; იქვეა ტობონიმი **სამებათი**, დანგრეული ეკლესიის ტერიტორია! სამწუხაროდ, ამჟამინდელმა თაობამ არ იცის ამ ტობონიმთა არსი.

დიობანის სკოლა ახლა შენდება და ძლიერდება; ვფიქრობ, იგი ნამდვილი განათლების კერად იქცევა (შდრ.: იდეოლოგიური წინხის გამო ბევრ ქვეყანაში სკოლები არაიშვიათად ყალბი ისტორიის ველია).

#### **06.08.06. აგარა. ნაჯდომი**

ადრე დილით ისევ (შემდეგაც ყოველდღე) ნავანები: იუსუფელელი, ქართულდავიწყებული ქიბარ-ალას მალაზია თუ მარკეტი; საუზნის მომზადებამდე მაგიდის ჩოგბურთსა და თანამდევ დისკუსიაში ბ-ნი ნოდარის სახალისო მარცხი: რატომ დაარქვით “არტგენი”? რატომ არა “წინწყარო” ან “მომღერალი ფესვები“!; რატომ **ზუმბად** გადამდნარი ქართველური გვარ-სახელი და არა ღირსების ქართველური, არასუროგატული ყალიბი (არადა, ბაიარზე არანალკებად პატრიოტი მომღერალია)... თავად ნოდარ შოშიტაშვილი დიდებული ქართველია; უძლებს თავზე ტალღებად გადამავალ სნობურ ნიჰილიზმს, მაგრამ მაინც ვეუბნები ბოლოს: მეტი აქტიურობაა საჭირო “ტენისშიც” და “ღია ცის ქვეშ მუზეუმშიც“...

Bazen gözüme önünde üç nesil var. Gürcü büyükbaba, “puslu” baba ve yara “yarasalaşmış” torun. Gen (ruh, yürek) dilsizce istiyor: Sahip çıkın, köklerimizden kopuyoruz, çırpılıyorz...Onların ve bizim zihinlerimiz sınırlanıyor, beden kendininkini istiyor (sanki “ruh” yokmuş gibi!)...

Hayat, aynı zamanda puslu geçmiş, şimdiki acılı zamanı ve umutlu bekleyişi kapsayan sevgi okuludur; Diyoan’ın okulu bizim için sevginin, dinlenmenin, sakinliğin, temizliğin alanı oldu: Okul, şimdi de Jvari Cvari) denen yerde bulunuyor. Hemen yakınında toponimi Samebati (Sanebati) olan yıkılmış kilise alanı var! Maalesef şimdiki nesil bu yerin adının anlamını bilmiyor.

Diyoan’daki okul yeni inşa ediliyor ve güçleniyor; Onun gerçek aydınlanma merkezine dönüşeceğini düşünüyorum. (kıyas için: ideolojik baskıdan dolayı bir çok ülkede okullar sıklıkla- yalan tarih -alanı oluyorlar).

#### **06.08.06. Agara. Nadzdomi**

Sabah erken yine (sonraki günlerde de ) dolunay: Yusufelili Gürcüceyi unutmış Kibar-Ağa’nın mağazası yahut marketi. Kahvaltı hazırlanana kadar masa tenisi ve sıradaki tartışmada Nodar Bey’in yenilgisi. “Artgen” adını neden koydunuz da “Tsintsqaro” ve ya “Momgherali Pesvebi” değil? Niçin Zumba (Harbi anlamında) olarak değişmiş ad-soyad da, onurlu, Gürcü, başkasının yerine olmayan kalıp değil. (Oysa Bayar kadar yurtsever bir şarkıcıdır)... Nodar Shoshitashvili’ nin kendisi büyük bir Gürcüdür. Başından dalgalar gibi geçen aristokrat nihilizmine karşı dayanıyor ama sonunda yine de diyorum ki ; “Tenis” de ve “Açıkhava Müzesi” nde...

მხოლოდ აქტიური ბრძოლით დაიძლევა სხვისი შემოტევა და საჯარო საფუძველიც გვექნება ჩვენეულით ვიამაყო (გულდილობის გარეშე).

ახლაც ვაგრძელებ ამ დიალოგს:

— ჩვენ იაპონელებზე დიდი ისტორია გვაქვს, მაგრამ მათგან მართლა უნდა ვისწავლოთ საკუთარის გაფრთხილება; იაპონელებს თავიანთი კულტურა ეგზოტიკად არ უქცევიათ (შოტლანდიელებივით), მათ ცხოვრების წესი შეინარჩუნეს. **საოცრად მრავალმხრივი და აქტუალურია ქართველური ცხოვრების წესი**; ჩვენ ის უნდა დავწმინდოთ საბჭოური თუ სხვა მინარევებისგან და მხოლოდ ეგზოტიკად არ უნდა დავიგულოთ სამუხეუმო ექსპონანტივით...

საუზმის შემდეგ ჯგუფებად ვცალკევდებით ჩვენი წარსულის მოსამცვრევად (**მომცვრევა** - დაფანტულის რუდუნებით მოკრება, მოგროვება): მაიას ჯგუფი - **ივეთში**, ეკასი - **ქოქლიეთში**, გიგასი - **წყალსიმერსა** და **ბზათაში**, ჩემი - ჯერ ისევ **სათავეში**, შემდეგ - **აგარაში**; დაჯიას (დარეჯანის) ჯგუფი მორიგეა, ამიტომ აქვე, **იმფრევლში** იმუშავებს დღეს.

სათავეზე ზეიმი გრძელდება; მინდა, რომ ქართველებმაც და სხვა დამხვდურებმაც კიდე შეგვაგლონ თვალი, თან მომავალ მთქმელებსაც (ინფორმატორებსაც) შევიპირებ/გავიმრავლებ; თან ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან კიდევ ერთხელ ვისაუბრებ თურქეთ-საქართველოს სამეცნიერო-კულტურული თანამშრომლობის მნიშვნელობისა და ჩვენი მიზნების შესახებ (მინდა ყველამ გაიგოს: ერთმანეთის სახელმწიფოებრივი და კულტურული ინტერესების იგნორირება - “სირაქლემას” მავნე პოლიტიკა - სიკეთის მომტანი არ არის!).

სათავის შემდეგ **აგარის აღმართს** ავუყვებით ისევ ჩემი ყველგან მავალი მანქანით. გზა შეგვეშალა და წეთილეთის ზემო უბანში - თითქმის დაცარიელ **ტყემლვანაში** აღმოვჩნდით;

de daha bir aktiflik gerekiyor; Yalnızca aktif mücadeleyle başkasının baskısı yenilebilir ve sahip olduklarımızla açıkça övünebiliriz (böbürlenmeksizin).

Konuşmamı şimdi de sürdürüyorum:

- Bizim Japonlardan büyük tarihimiz var, ama onlardan sahip olduklarımıza dikkat etmeyi öğrenmeliyiz; Japonlar kendi kültürlerini egzotiğe dönüştürmediler.(günümüzdeki İskoçlar gibi), yaşam tarzlarını değiştirmediler. Olağanüstü çokyönlü ve güzeldir Gürcü yaşam biçimi; biz onu Sovyet ve karışımlardan arındırmalı ve sadece müze örneği gibi kabul etmemeliyiz...

Kahvaltı sonrası geçmişimizi toplamak için guruplara ayırıyoruz (dağılmış şeyleri emek verip toplama) Maia'nın gurubu İvet'e, Eka'nın ki Kokliyet'e, Giga'nın Balıklı ve Bzata'ya, benim – henüz yine Satave'de, sonra Agara'ya.Dacia (Darecan) nın gurubu nöbetçi, bu nedenle yakında Taşköprü'de çalışacaklar bugün.

Satave'de eğlence devam ediyor; Gürcüler ve diğerlerinin bizi görmesini istiyorum. Hem bundan sonraki konuşmacılarımı çoğaltıp, söz alırım; hem de yerel yöneticilerle bir kez daha sohbet eder Türkiye-Gürcistan bilimsel-kültürel işbirliğinin önemi ve amacı hakkında (istiyorum ki herkes bilsin: birbirimizin devlet ve kültürel yararların görmezden gelmek – “devekuşunun” zararlı politikası – yarar getirmez! ).

Satave sonrasında her yere varan arabamızla Agara yokuşuna uzandık. Yolumuzu şaşırdık ve Tsetilet (Erikli) in yukarı mahallesine – boş eriklik yerde bulduk kendimizi;

მხოლოდ სამ ადამიანს მოგვართ თვალი და მათგან ერთი ძლივს გამოვილაპარაკეთ; არ გვიპასუხა; თურქი გვეგონა, დიალოგი ინგას თურქულით გავაგრძელებთ, თუმცა მალევე **მასში ქართველი ვიპოვეთ**; აგარისკენ გავგაცილა; მაინც იმედგაცრუებული წავედი აგარისკენ. გზად ბიჭებს - ღარჭებს დავეწიეთ. ჩვენი ქართული არ ესმოდათ; ინგას თარჯიმნობა აქაც გამოგვადგა: თურქები ვართო, თუმცა, აგარა-ხოხლევისკენ სულ ქართული სოფლებია...

აგარის შესასვლელში გზის ქვედა მხარეს სახლს აშენებდნენ; მივესალმეთ, მოგვესალმენ და საქმიანობა გააგრძელებს; ასე იოლად ვერ გადარჩებით, საქმე გაქვთ, მაგრამ ჩვენც გვაქვს საქმე და აქ ამოღობთ-მეთქი. ორი ხალისიანად შემოგვეხმაურა, ერთი - ზღაზღავით: აგარელი კაცი, სულეიმან ჩელიკი (ენჩაროღლი, 50 წლის), მეტსახელად მელიჭლიკა, სახლის პატრონი აღმოჩნდა, სხვები კი მანატბელი უსტიები (ოსტატები; ერთ-ერთის, ინფორმატორის სახელი: ხალით გუნეში/შაგვეთლიძე, 47 წლის). დიქტოფონით კარგი მასალა ჩავიწერეთ; ხელითაც; მაგ., აგარის ტოპონიმებია: საკრიათი (ტყე), სანაფოტე (საკრიათის თავზე), სანადირო (ტყე), სარჩვე/საარჩვე (კლდე სანადიროს თავზე), ბოდლორახევი (ყანა, ჭალა), სათრახევი (ყანა, ჭალა), ქობტები (ყანა, ჭალა), დოლაკალოხევი (ყანა, ჭალა), მუსაყანა, თელვანი (ჭალა), არყნალი (ჭალა), ყლარჭაჲ (ჭალა), ქვიტავრი (ყიშლა, საზაფხულო სადგომი), ვენახსძირაჲ, აბაშეთი, კაროპირაჲ/კალოპირაჲ, ტყენლანეთი, თეთროზეთი...<sup>1</sup>

საუბარი სახელდახელო პურობაში გადაიზარდა; მანქანაში კარგი ჭაჭა მქონდა; შევთავაზე, ზრდილობიანად იუარეს ენით, თუმცა თვალეში ინტერესი კიაფობდა; მე დავლოცავთ, ასეთია ჩვენი წესი-მეთქი; პირველი ჭიქით

<sup>1</sup> ამ და სხვა სოფლების შემთხვევაშიც მიკროტოპონიმთა ჩამონათვალი სრულყოფილი არ არის; მასალის შევსება შემდგომ უნდა მოხდეს...

sadece üç kişiye gözümüz çarptı ve biriyle zoraki konuşabildik; yanıt vermedi; Türk sandık, konuşmayı İnga'nın Türkçesiyle sürdürdük. Böyle olmakla beraber o'nda çabucak Gürcüyü bulduk; Agara'ya doğru yolcu etti bizi; hayalkırıklığıyla gittik Agara'ya doğru. Yolda oğlan çocuklarına yetişdik. Gürcümüzü anlamıyorardı; Burada da İnga'nın tercümanlığı işimize yaradı. Türküz dediler, Oysa Agara – Khokhlev'e doğru hep Gürcü köyleri var.

Agara girişinde, yolun altındaki tarafda ev inşa ediyorlardı; Selam verdik, selam verdiler ve işlerin devam ettirdiler. İşiniz var ama böyle kolay kurtulamazsınız, buraya geliniz bizim de işimiz var dedim. İkisi hevesle, biri isteksiz karşılık verdiler: Agaralı kişi, Süleyman Çelik (Yeniçaroğlu, 50 yaşında), Lakabi ise Melichlika ve evsahibi çıktı, diğerleri ise Manatba'lı ustalardı. Konuştuklarımızdan birinin adı : Halit Güneş/ Shavketlidze, 47 yaşında). Teyp kaydıyla iyi konuşma kaydettik; Elle de; örn., Agara'nın yer adları : Sakriat (orman), Sanapote (Sakriat'ın yukarısında), Sanadiro (orman), Sarcheve/Saarcheve (sanadiro üzerinde kayalık), Bodghorakhevi (tarla, çayır), Satrakhevi (tarla, çayır), Kokhtebi (tarla, çayır), Dolakalokhevi (tarla, çayır), Musaqana ,Telvani(çayır), Arqnali (çayır), Qlarcha (çayır), Kvitavri (mezra), enakhdzira, başeyi, aropira “/kalopira”, Tqenlaneti, Tetrozeti<sup>1</sup>...

Sohbetimiz çabucak sofraya dönüştü; Arabada iyi ev votkam vardı; Teklif ettim, nezaketle hayır dediler, bununla beraber gözlerinde ilgi farkediliyordu; Ben kadehle dua ederim, bizim adetimiz böyle dedim:

1. Bu ve diğer köylerin örneğinde yer adları sayımı tamamlanmış değildir; bunlar daha sonraları doldurulacaktır.

ვიტყვი: “ღმერთი შეგვეწიოს; ღმერთს დიდება, ჩვენ მშვიდობა“; მოეწონათ, ღმერთს ჩვენც ვლოცავთო, ოღონდ ღვინით და არყით არაო; ღმერთი თქვენ იცითო? მე ავუხსენი, რომ ღმერთი ქართული სიტყვაა, ალაჰი კი არაბული და ორივე უზენაესს ნიშნავს. ბიბლიისა და ყურანის მიმართებაზეც ვესაუბრე ზოგადად; შემდეგ სახლის მშენებლობა დაეწყო... ერთი-ერთი უსტა ამყვა; მეც დაელოცა, დაელოცა ჩვენც ვიცითო. მეორემაც გაუხსენა გემო. მასპინძელმა თქვა, მეც მინდა შევსვა, მაგრამ ქალის მეშინია, ეს ჩემი ბახალაა (გოგო) ეტყვის და სახლიდან გამომავდებნო (სიცილით); დატიე აქ და თქვენ რომ წახვალთ, მერე დავლევო... მეღიჭლიკამ (კარგი იუმორი აღმოაჩნდა, არა მგონია, ასე მოხსენიება ეწყინოს; თანაც, ეს მეტსახელი ძალიან ქართულად ჟღერს) ბოლოს მითხრა:

ჩვენს შორის აუცილებელია მისლა-მოსლა, ჰა, აგერ ჩემი გოგო წეიყვანე და ეს შენი სტუდენტი გოგო ჩემ ბიჭზე გავათხოვოთო; ბახალაა უნდა გიეთხვოს, ნაჯდომი რათ მინდა სახლში **(ნაჯდომი/ნაჯდომი - 30 წელს გადაცილებული გასათხოვარი ქალი)**. ვერა, შენასასაც წევყვან და ვერც ამას დივიტე-მეთქი (მოუტყვიე აჭარულ-იმერხეულად). მოულოდნელი პასუხი მივიღე:

— თქვენი ხალხი - აჭარლები - მაგრები არიან; ამ სერებ გადაღმა შუახევი და ხულაა; ამ სერს იქით მახალაკეთის იაილაა; იქიდან გადმოიდოდენ აჭარლები (მათ თოფები ქონდენ, ჩვენ - არა), მეფტაცებდენ კაი ბახალეფს (გოგონებს) და ასე მრავლდებოდნენ; ახლა ასე არ იქნება, ერთი შენი მოგვეცი და ერთი ჩვენი წეიყვანეო. კარგი, ამ ექსპედიაციას რომ დავამთავრებ, მაგ საქმეზე შემდეგ ვითათბიროთ-მეთქი...

ხუმარა მასპინძელს სახლის კეთება ეჩქარებოდა, მაგრამ ჩვენთან ურთიერთობა მაინც საქმეზე წინ დააყენა. აგარაში ჩვენი ქართველური განწყობა ისევ ამბლდა.

“Tanrı bizimle olsun; Tanrı’ya ululuk, bize barış”, beğendiler , Tanrı’ya bizde dua ediyoruz yalnız şarap ve votkayla değil dediler; Ghmertı (Tanrı) yı sizde biliyor musunuz? Ghmertı, Gürcüce kelime, Allah arapça ve ikisinde “en yüce” anlamını taşır dedim. İncil ve Kur’an’ın yönüne genelde değindim; Sonra inşa ettikleri yapı içinde “dua” ettim... Ustalardan biri bana ayak uydurdu ; Bende söylerim, bizde biliriz dedi. İkincisi de tadına baktı. Ev sahibi dedi ki ben de içmek istiyorum ama hanımdan kokruyorum, bu benim kızım söyler ve beni evden atarlar (gülerek); bana da bırak sizler gittikten sonra içerim dedi...

Melichlika (iyi mizah gücü vardı, bu adla sözetmemden güceneceğini sanmıyorum: hem bu lakap Gürcüce olarak hoş geliyor) en sonunda dedi ki:

Aramızda mutlaka gitme – gelme olmalıdır, Ah işte benim kızım al götür ve bu öğrenci kızı oğlumla evlendirelim.Bakhala (kız) evlenmelidir. Najdomiyi (evde kalmış), ne yapayım (Najdomi/Nacdomi -30unu aşmış evlenecek kız). Ne senin kızı götürülebilir ne bunu bırakabilirim dedim (Achara – İmerkhevce söyledim), Beklemediğim cevap aldım.

- Sizin halk – Acharalılar – çetin adamlar; Bu sırtların ötesinde Shuakhevi ve Khulo var; bu sırt ötesinde Makhalkheti yaylası var; ordan Acharalılar gelir (onların tüfekleri vardı, bizde yok), iyi kızları kaçırdılar ve böyle artıyorlardı, şimdi böyle olmaz, bir sizinkini ver, bir bizimkini götür, dedi. İyi, bu gezi bitince bu konuyu sonra konuşalım dedim...

Latifeci evsahibimiz evin inşasını acele ediyordu, ama yine de bizimle sohbeti kendi işinden önde tuttu. Agara’da keyfimiz yeniden arttı.

**06.08.06. საღამო. თამარად - ერთიანი ისტორიული მენსიერება**

აგარის შემდეგ ისევ ჩვენი სასკოლო ოჯახი: ნელ-ნელა მოლაგდნენ მტვრიანი, მაგრამ, კარგშთაბეჭდილებებიანი ჯგუფები; გოგონები სახელდახელო საშხაპეებში, ბიჭები მდინარეზე ჩადიან მალხაზის მიკროავტობუსით; შემდეგ ვახშამი, ტენისი, ეზოში სახელდახელო ფრენბურთის მოედანი ასატანი წიოკითურთ და ერთ ადგილობრივ ქართველთან სერიოზული ბაასი მუსტაფა ქემალ ათათურქის ძეგლთან:

— მუსტაფა დიდი კაცია, მუხამედ ფეილამბერის რჩეულია!

— ჩვენთან ასე უყვართ ილია ჭავჭავაძე; ჩვენ სხვა დიდი გმირებიც გყავს: აფსირტე და აიეტი, ფარნავაზი და ქუჯი, ვახტანგ გორგასალი, დავით აღმაშენებელი, თამარ მეფე... (მაწყვეტინებს)

— თამარად ჩვენი დიდა; თამარად აქ ყოფილა; ეს ციხე იმან ააშენა; აქ ქილისად ყოფილა, სკოლის თავზე და იმ ციხიდან (მაღალქონგურიანი და კლდეზე აგებული ციხე მდინარის გაღმა ნავანევის თავზე) აქ გადმოფრენილა...

ამ ამბავს ავსებს შემდეგი დღეების როლანდის სიხარული: აქ დიდად აღაფრთოვანებთ ჩვენი 50-ლარიანის დანახვა, ზედ თამარის სახეაო...

თამარის სახელი ჰქვია ყველა ძველ ხიდს თუ ციხეს ლაზეთშიც, ტაოშიც, აჭარაშიც... თამარის სახე გამორჩეული ნიშანსვეტია ჩვენი ქართველური ცნობიერებისა, თამარი ჩვენი ის საერთო ისტორიული, ღრმადჩამჯდარი ბურჯია, რომელზეც მყარად დადგება ქართველური მომავალი...

**07.08.06. ბზათა და შოლტისხევი**

ნორმალური საუზმე. ჩემი ჯგუფი ბზათა-შოლტისხევისკენ: ხეობის გაღმა-გამოღმა ლამაზი სოფლებია.

**06.08.06. Akşam. “Tamara” – Tarihin ortak belleği.**

Agara’dan sonra yine bizim okul evimiz: yavaş yavaş gururular tozlu ama iyi izlenimlerle dönüp yerleştiler; Kızlar çabucak duşlara, erkekler ise Malkhaz’ın küçük otobüsüyle dereye yüzmeye indiler. Sonra

Akşam yemeği , tenis, avluda voleybol meydanı, çekilecek gürlü ve yerli bir Gürcüyle Mustafa Kemal Atatürk’ün heykeli yanında konuşma:

- Mustafa büyük adam, Muhammed peygamberin seçilmiş kişisi.

- Biz de böyle seviyoruz İlia Chavchavadze’yi. Başka kahramanlarımızda var : Aqsirte ve Ayety, Parnavaz ve Kuji, Vakhtang Gorgasali, Davit Aghmashenebeli, Tamar Mepe... (kesiyor konuşmamı)

